# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 16 დეკემბერი 2006 №291 (2913) ფასი 50 თეთრი

# საქართველო ბრაზილიას შეხვდება

## ჯერ მხოლოდ ფედერაციების დონეზე



ბაჩო კომახიძის ფოტო

## გვიმასპინძლებს ევრო 2008-ის მასპინძელი?



ბაჩო კომახიძის ფოტო

# კანავარო მეორედ გაპირველდა



„ოქროს ბურთის“ მფლობელი ფაბიო კანავარო გუშინ მსოფლიოს წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ინგლისური „უორლდ სოკერის“ გამოკითხვის 25-წლიან ისტორიაში მეორედ მოხდა ისე, რომ ჯილდო მცველმა მოიგო. მანამდე, 1994-ში „უორლდ სოკერის“ პრიზი ასევე იტალიელს, პაოლო მალდინის ერგო.

ფაბიო კანავარომ სამჯერ მეტი ხმა დააგროვა ვიდრე კამერუნელმა სამუელ ეტოომ, რომელიც მეორეზე გავიდა, ხოლო მესამე ფრანგი ტიერი ანრი გახდა.

„უორლდ სოკერმა“ წლის მწვრთნელად მსოფლიოს ჩემპიონი მარჩელო ლიპი დაასახელა. ხოლო წლის გუნდად ჩემპიონთა თასის მფლობელი „ბარსელონა“. ბარსელონელი ლიონელ მესი კი 2006 წლის საუკეთესო ახალგაზრდა გახდა.

## ინგლისურმა უორლდ სოკერმა ფრანგული ფრანს ფუტბოლი გაიმეორა

# ჩემპიონთა ლიგის ჩემპიონთა ლიგა

იცით, რა თქვა „პორტუს“ წარმომადგენელმა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის წილისყრის შემდეგ? „ჩელსისთან“ ორმატჩიანი დუელის მერე ჟოზე მაურინიუს დავურეკავ და ვეტყვი: „ბოდიში რომ დაგამარცხეთ“.

„ჩელსი“ მერვედფინალში „პორტუს“ დაეჯახა, რომელიც 2004-ში ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდა მაურინიუს თავკაცობით და ეს კიდევ უფრო მატებს ინტრიგას ამ წყვილს.

ცხადია, ძალიან საინტერესო იქნება „ლივერპულის“ და „ბარსელონას“ შეხლაც. რაფაელ ბენიტესის გუნდმა ჩემპიონთა თასი შარშან აღმართა, ხოლო „ბარსამ“ — წლეულს.

მადრიდის „რეალის“ და მიუნხენის „ბაიერნის“ წყვილი კი ყველაზე გამორჩეულია. ეს გუნდები ერთმანეთს 16-ჯერ შეხვედრიან — ცხრაში „ბაიერნმა“ იმარჯვა, „რეალმა“ კი ხუთი მოიგო.









# საქართველომ ბრაზილიას ფასდაკლება სთხოვა

## სხვა დანარჩენზე ტოპმიოლერი იტყვის

ჩამოვა თუ არა ბრაზილიის ნაკრები გაისად, 22 აგვისტოს თბილისში? მხარეებს შორის მოლაპარაკებები კვლავაც გრძელდება და გადამწყვეტ ფაზაშიც შედის, თუმცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ ბრაზილიური ვარიანტის გარდა, საინტერესო სხვაც გვითხრა...

— ჯერ ისევ მოლაპარაკებები მიმდინარეობს. შესაძლოა, ყველაფერი 25 დეკემბრამდე გაირკვეს. არ არის გამორიცხული, ბრაზილიურ მხარესთან შეხვედრაც გახდეს საჭირო — ფასის დაკლებაზეა საუბარი და ვნახოთ...

— ამასწინათ გვითხარით, შეიძლება, გაისად ნოემბრისთვის ერთ-ერთ აზიურ ნაკრებთან ვითამაშოთო. ამ საკითხზე ახალი ხომ არაფერია?

— ჯერჯერობით არა. შემოთავაზებები საკმაოდ გვაქვს, მათ შორის ევროპული ნაკრებებისგანაც და ამ ყველაფერს კლაუს ტოპმიოლერის თბილისში ჩამოსვლისას ავწონ-დავწონით.

— ევროპული ნაკრებებიდან რომელია ყველაზე რეალური?

— 17 ნოემბერს შესაძლოა, ავსტრიას ვეთამაშოთ სტუმრად. ეს საკითხიც ტოპმიოლერის ჩამოსვლისას, იანვარში გაირკვევა უფრო დეტალურად.

**ილია ნანობაშვილი**

**გუშინ** ვერის პარკში დაიწყო ტურნირი „ახალი წელი ნარკოტიკების გარეშე".

მატჩები ასე დასრულდა: სფფ — სახალხო დამცველი 2:3; აქსისი — ელექტროკავშირი 2:1; ფან-კლუბი — სტეპ-რეკორდსი 7:0; თელიანი ველი — საქართველოს ბანკი 4:1.

### ინგლისი

ჩემპიონატი. XXIII ტური
ლუთონი 0:0 საუთენდი
პირველი ლიგა. XXII ტური
სკანთორპი 1:3 ბლეკპული
ტრანმერი — ძრიუ გადაიდო
მეორე ლიგა. XXII ტური
ჰარტლპული 1:0 როჩდეილი

### გერმანია

ბუნდესლიგა. XVII ტური
ბოხუმი 2:0 მიონხენგლადბახი
მეორე ბუნდესლიგა XVII ტური
კიოლნი 2:2 კაიზერსლაუტერნი
კარლ ცაისი 0:2 აუგსბურგი
უნტერჰახინგი 0:0 ჰანზა

### იტალია

სერია B. XVI ტური
კროტონე 2:2 პესკარა
იუვენტუსი — ჩეზენა გადაიდო

### ბელგია

იუპილერლიგა XVII ტური
სტანდარდი 2:0 მუსკრონი

### ჰოლანდია

ერედივიზიონი. XVII ტური
პსვ 3:0 ჰერაკლესი
მეორე დივიზიონი. XX ტური
კამბური 2:1 როზენდალი
დენ ბოსხი 0:1 ვენლო
დორდრეხტი 2:0 ემენი
ალმერე 1:1 ეინდჰოვენი
ზვოლე 2:2 ოსი
ჰელმონდი 1:0 ჰაარლემი
მაასტრიხტი 1:0 ვოლენდამი
ტელსტარი 0:3 სიტარდი
ვეენდამი 1:4 გრააფსხაპი

### პორტუგალია

სუპერლიგა. XIV ტური
მარიტიმუ 1:4 ბელენენსეში

### თურქეთი

თასის ჯგუფური ეტაპი მესამე ტური
A ჯგუფი
ბურსა 2:1 ძარშიაძა
B ჯგუფი
ანკარა 0:0 ტრაბზონი
C ჯგუფი
ინეგოლი 3:1 სივა

### მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი 2006 იაპონია. 10-17 დეკემბერი

მატჩი მე-5 ადგილისთვის
ოკლენდ სიტი (ახალი ზელანდია) 0:3 იეონბუკ მოტორსი (კორეა)

# შოთამ სევილია 28-ზე გააჩერა

## არველაძე თურქებმა ტელეფონით აიკლეს




ჰოლანდიურმა „ალკმაარმა" უეფას თასის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში ესპანურ „სევილიას" შოთა არველაძის დუბლით 2:1 მოუგო, პირველი ადგილი დაიკავა და გუშინდელი წილისყრით მეთექვსმეტედფინალში თურქულ „ფენერბაჰჩეს" დაუპირისპირდება. არველაძემ „სევილიას" ოსტატური გოლები შეუგდო — ჯერ იყო და, მეკარეს მოულოდნელად დაურტყა ცაციით და ახლო კუთხეში გაუტანა, მერე კი მცველის შეცდომით გავიდა მეკარესთან პირისპირ და მოხდენილად ჩასვა ბურთი ცხრიანში. შეგახსენებთ, რომ „სევილია" ესპანურ პრიმერადივიზიონში ამ დროისთვის მეორე ადგილზეა...

— ძალიან ძნელი და კარგი თამაში იყო. „სევილიას" მანამდე შინ 28 მატჩში არ წაეგო და სერია ჩვენ შევუწყვიტეთ. „სევილია" ძალიან კარგად აგორებდა ბურთს, შეიძლება ითქვას, ამ კომპონენტში ჩვენზე ძლიერი გამოდგა, მაგრამ გოლი ისეთი პენალტით გაგვიტანეს... მთელი თამაში მსაჯმა ნერვები დაგვაწყვიტა.

— „ალკმაარსაც" და „სევილიასაც" განაღდებული ჰქონდათ მეთექვსმეტედფინალში გასვლა — ჯგუფში პირველი ადგილი „ალკმაარისთვის" პროგრამა-მაქსიმუმი იყო?

— მაგარი ბრძოლა იყო, რადგან ჯგუფში პირველ ადგილზე გასული სხვა ჯგუფში მესამე ადგილზე გასულს შეხვდებოდა. ეს ჩვენთვისაც და „სევილიასთვისაც" უკეთესი ვარიანტი იყო, ვიდრე ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მესამე ადგილზე გასულ გუნდთან შეხვედრა, მაგალითად, ბრემენის „ვერდერთან". მოკლედ, ძალიან პრინციპული მატჩი მოვიგეთ.

— მეთექვსმეტედფინალში თურქულ გუნდს რომ ხვდებით, ამას შენთვის ალბათ განსაკუთრებული შარმი აქვს...

— ასეა. როგორც კი წილისყრა მორჩა, თურქეთიდან სატელეფონო ზარებით ამიკლეს — თურქ ჟურნალისტებს რამდენიმე ინტერვიუ უკვე მივეცი პირდაპირ ეთერში.

— „ალკმაარის" მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა რა გითხრა ნამატჩევს?

— ვან გაალი ძალიან მომთხოვნია და შექებაც უყვარს. გადამეხვია და მითხრა, ყოჩაღო.

— როგორ ატყობ, უეფას თასზე რა გაქანების გუნდია „ალკმაარი"?

— თუ „ფენერბაჰჩეს" გავცდით, მერე ალბათ „ნიუკასლს" შევხვდებით. მართალია, იმ გუნდს, რომელიც „ბარსელონას" ორი ქულით ჩამორჩება, სტუმრად მოვუგეთ, მაგრამ ამით ყველაფერი არ განისაზღვრება. უეფას თასზე ძალიან ძნელი მატჩები გველის.

**დავით თავართქილაძე**

# გერმანია თანახმაა: გაისად, 21 მარტს!

**საქართველოს** 19-წლამდელთა ნაკრები გაისად, 21 მარტს სტუმრად გერმანიას გაეჯიბრება.

სფფ-ის პრესსამსახურის ცნობით, მოლაპარაკებები უკვე დასრულებულია და გასარკვევი დარჩა მხოლოდ ამხანაგური მატჩის გამართვის ადგილი, რასაც გერმანელები მოგვიანებით აცნობებენ ფედერაციას.

შეგახსენებთ, რომ მაისში ჰაინც ტოპმიოლერის 19-წლამდელები ევროშესარჩევ ელიტ-რაუნდში შოტლანდიას, პორტუგალიას და თურქეთს ეთამაშებიან.

**კახა შალამბერიძე**

# აშვეთია რუბინს დაშორდა



**ყაზანის** „რუბინი" ყველაზე „ქართული" გუნდია რუსეთის პრემიერლიგაში — გასულ სეზონში ყაზანელთა შემადგენლობაში ხუთი ქართველი ფეხბურთელი თამაშობდა...

ამ ხუთეულიდან გიორგი ქინქლაძემ ცოტა ხნის წინ დატოვა „რუბინი". ქინქლაძის დარად, ყაზანელებთან კონტრაქტი დაუმთავრდა მიხეილ აშვეთიასაც და რუსული სააგენტოების ცნობით, კლუბმა მასთან ხელშეკრულების გაგრძელება აღარ ისურვა.

როგორც შევიტყვეთ, აშვეთიას რამდენიმე რუსული ვარიანტი აქვს — „კრილია სოვეტოვი", „მოსკვა" და „ნალჩიკი". ალბათ სწორედ ამ წინადადებებს განიხილავს ახლა საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი, რომელიც რამდენიმე დღის წინ ჩავიდა მოსკოვში.

ამრიგად, საახალსეზონოდ „რუბინში" სამი ქართველია — ნუკრი რევიშვილი, ლაშა სალუქვაძე და ზურაბ არზიანი, თუმცა არ არის გამორიცხული, მათი რაოდენობა ერთით გაიზარდოს. „რუბინი" პირველ შეკრებას 4-18 იანვარს ანთალიაში გეგმავს და იქ ალექსანდრე ამისულაშვილსაც იახლებს. თუ იაროსლავლის „შინიკიდან" წამოსული ქართველი მცველი მწვრთნელებს თავს მოაწონებს, კონტრაქტსაც გაუფორმებენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ნაკრების საყრდენმა ნახევარმცველმა ჯაბა კანკავამ დნეპროპეტროვსკის „დნიპროსთან“ სამწლიანი კონტრაქტი რომ გააფორმა, უკვე გამცნეთ. კანკავამ უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრე კიევის „არსენალში“ მართლაც გამორჩეულად ითამაშა, გუნდის ლიდერად იქცა და უკრაინელი ჟურნალისტების თქმით, სეზონის ბოლოს „აღმოჩენის“, „საუკეთესო დებიუტანტისა“ და „საუკეთესო ლეგიონერის“ ნომინაციებში გამარჯვების საკმაო შანსი აქვს...



# საქართველო ყველაზე მაგარი ეგზოტიკაა

— „დნიპროში“ ჩემ გადასვლაზე გაზეთებმა ადრევე დაწერეს და, როგორც გამოჩნდა, ეს ჭორი არ ყოფილა — ყველაფერი სამწლიანი კონტრაქტის გაფორმებით დასრულდა.

**— „არსენალში“ დარჩენაზე არ გიფიქრიათ?**

— ამ გუნდში გატარებული დრო ყოველთვის ტკბილად მომაგონდება, მაგრამ ჩანს, დადგა დრო, ერთი ნაბიჯიც გადავდგა წინ, როგორც სათამაშო, ისე მატერიალური კუთხით. არ დავმალავ, „დნიპროს“ წინადადებით კმაყოფილი ვარ.

**— ამ წინადადებით ოლეგ პროტასოვმა მოგმართათ?**

— არა, მწვრთნელთან ჯერაც არ მისაუბრია. მოლაპარაკებებს „დნიპროს“ გენერალური დირექტორი ანდრეი სტეცენკო აწარმოებდა.

**— დნეპროპეტროვსკზე რას იტყვით?**

— ქალაქის გაცნობა ჯერ ვერ მოვასწარი, თუმცა ეს მთავარი არც არის. ყველაფერს მოევლება...

**— ახალ გუნდთან ადაპტაციაში ალბათ რევაზ ბარაბაძე დაგეხმარებათ...**

— იმედი მაქვს, ასე იქნება. მას ჯერ არ ვიცნობ. ვიცი, რომ ბარაბაძე პერსპექტიული ფეხბურთელია, მაგრამ მასთან არასოდეს მითამაშია. აი, კახა ალადაშვილთან ახლო ურთიერთობა მაქვს, მაგრამ ის „დნიპროში“ აღარ არის.

**— დარწმუნებული ვარ, პირველი წრის შემდეგ უამრავი წინადადება გქონდათ...**

— ასე ვერ ვიტყოდი. ყოველ შემთხვევაში, ჩემმა მენეჯერებმა თავიდანვე გამოარჩიეს „დნიპრო“. სხვა ვარიანტებზე არაფერი ვიცი.

**— რამდენი აგენტი აგვარებს თქვენს საქმეებს?**

— ორი. ერთ-ერთს, ახრიკ ცვეიბას, ალბათ კარგად იცნობთ. მეორეც ჩემი თანამემამულეა — მამუკა.

**— პირველ წრეში რა ნიშანს დაუწერდით ჯაბა კანკავას?**

— მეც და მთლიანად გუნდმაც „კარგ ოთხიანზე“ ვითამაშეთ. „არსენალის“ პრობლემების გათვალისწინებით, ვფიქრობ, მეოთხე ადგილი მშვენიერი შედეგია.

**— ნოემბერში სანაკრებო შეკრებაზე დაშავდით. ტრავმა უკვე მოირჩინეთ?**

— უკვე კარგად ვარ, თუმცა თავიდან ძალიან შევშინდი — მუხლი გამისივდა...

**— ზამთრის არდადეგებს სად გაატარებთ?**

— სად? რა თქმა უნდა, შინ — საქართველოში. იქ სითბო და სიმყუდროვეა. ნებისმიერ ქართველს ჰკითხეთ: მშობლიური სახლი სჯობია ეგვიპტესაც, მალდივის კუნძულებსაც და სხვა ეგზოტიკურ ქვეყნებსაც...

# ძოძუაშვილს რუსთავში ბეჭედი დარჩა

რუსთავის „ოლიმპში“ რევაზ ძოძუაშვილის დანიშვნას წინ აღარაფერი უდგას. დარჩა მოსაგვარებელი მხოლოდ ფორმალური საკითხები და ძოძუაშვილიც ოფიციალურად, სავარაუდოდ, ორშაბათს ჩაიბარებს საქართველოს ჩემპიონატის ლიდერს...



— „ოლიმპის“ ხელმძღვანელობასთან საუბრის შემდეგ თითქმის ყველაფერი გარკვეულია, ერთადერთი, ბეჭდის დასმაღა დარჩა. ქუთაისის „ტორპედო“ ამ ეტაპზე მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატში თამაშით კმაყოფილდება და ევროთასებზე გასვლას არ გეგმავს, რუსთაველების მიზანზე კი გუშინაც გესაუბრეთ — „ოლიმპმა“ ჩემპიონთა ლიგაზე უნდა ითამაშოს. მოკლედ, ორშაბათს საბოლოოდ გადაწყდება ყველაფერი.

**— „ოლიმპის“ ხელმძღვანელობასთან საუბრისას ის თუ ითქვა, რომელი ფეხბურთელებით უნდა გაძლიერდეს კლუბი?**

— კონკრეტული საუბარი გვქონდა და სამუშაო გეგმაც შედგენილია. ახლა თავს შევიკავებ რაიმეს თქმისგან, თუმცა ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ წამსვლელ-მომსვლელთა ვინაობა ყველასთვის ცნობილი გახდება.

**— ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა ხელმძღვანელობის პირდაპირი მოთხოვნაა?**

— რა თქმა უნდა და იმ გეგმით, რაც ამ ეტაპზე გვაქვს შედგენილი, ჩემი გათვლით, ეს სავსებით შესაძლებელია.

**— ლიგაში ვერმოხვედრა წარუმატებლობა იქნება?**

— ლიგაში მოხვედრა შესაძლებელია და არა ასპროცენტიანი. შესაძლებლობას გამოყენება უნდა და უნდა გამოვიყენოთ კიდეც.

მიხეილ ჟორჟოლიანი

# გაბელიას მწვრთნელი და ვითარება შეეცვალა

**ქუთაისის** „ტორპედოში“ რევაზ ძოძუაშვილი მწვრთნელთა საბჭოს ხელმძღვანელად ითვლებოდა და მიმდინარე სეზონში იმერული კლუბის საკმაოდ კარგი თამაშიც უმთავრესად მისი დამსახურებაა.

ახლა, როცა ძოძუაშვილის „ოლიმპში“ გადაბარგებას წინ აღარაფერი უდგას, რა თქმა უნდა, „ტორპედოში“ ახალი მთავარი მწვრთნელის დანიშვნაზეც ალაპარაკდნენ და მთავარ კანდიდატად ოთარ გაბელია ითვლება...

გაბელიამ ეს ინფორმაცია სამიოდ დღის წინ „სარბიელთან“ საუბრისას უარყო. მისი თქმით, ქუთაისის „ტორპედოს“ ძოძუაშვილი თავკაცობდა და კარგი შედეგიც ჰქონდა, ასეთ დროს კი მწვრთნელს არ ცვლიან. თუმცა ახლა სხვა ვითარებაა — ძოძუაშვილი „ტორპედოდან“, ფაქტობრივად, წამოვიდა.

ორიოდ დღის წინ ისიც გამცნეთ, რომ „ტორპედოში“ კიდევ ერთი ცვლილებაა მოსალოდნელი — ძოძუაშვილის სურვილია, „ოლიმპში“ ქუთაისელთა კაპიტანი დავით გამეზარდაშვილიც იახლოს.

სავარაუდოდ, მომავალი კვირაში ამ და სხვა საკითხების გასარკვევად „ტორპედოს“ ახალი ხელმძღვანელობა და კლუბის წევრები შეიკრიბებიან და სამომავლო გეგმებზეც მაშინ ისაუბრებენ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

# ამასაც მოვესწარით ფოლკერ ფინკე მიდის

**საქმე** აქეთ მიდიოდა და... გერმანული „ფრაიბურგის“ დირექტორთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, სეზონის ბოლოს მთავარ მწვრთნელ ფოლკერ ფინკეს დაემშვიდობოს.

15 წელი გაატარა ფინკემ „ფრაიბურგში“, ბუნდესლიგაში რამდენჯერმე აიყვანა, ჩვენ კი თავი ქართველების პატივისმცემ მწვრთნელად გაგვაცნო. სწორედ მან გადაიყვანა „ფრაიბურგში“ ალექსანდრე იაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, ლევან კობიაშვილი, გიორგი კიკნაძე, ზაზა ზამთარაძე, ოთარ ხიზანეიშვილი... აგერ, ახლა დავით თარგამაძესაც უპირებდა წაყვანას...

ფინკეს „განაჩენი“ მეორე ბუნდესლიგის მე-16 ტურში შინ „კარლსრუესთან“ 0:4 მარცხმა გამოუტანა. „ფრაიბურგი“ ბოლოდან მესამეზეა და ლიგაში დასარჩენად უწევს ბრძოლა.

ქახა შალამბერიძე

## საჩხერელთა გრძელი სია: კოშკაძე, ბათიაშვილი, ჭიჭველიშვილი, სირბილაძე, დვალი, მახარაძე, ქუცურუა

# ვინ იქნება შემდეგი?

**საქართველოს** ჩემპიონატის პირველ წრეში საჩხერის „ჩიხურამ“ გულშემატკივრებს იმედები გაუცრუა. ჩემპიონატში მდგომარეობის გამოსწორებას ზემოიმერლები მეორე წრიდან აპირებენ, საქართველოს თასზე კი უფრო სერიოზული მიზნებიც აქვთ.

მოკლედ, ხვიჩა ქასრაშვილის „ჩიხურამ“ საქმე უკვე დაიწყო და თითქმის ასი პროცენტითაა გადაწყვეტილი, რომ საჩხერულ კლუბში ითამაშებს ალექსანდრე კოშკაძე, რომელმაც პირველი წრე „ბათუმში“ ჩაამთავრა. თითქმის დასრულებულია მოლაპარაკებები ბოლნისის „სიონის“ მეკარე ზურაბ ბათიაშვილთან და მცველ დავით ჭიჭველიშვილთან. რუსთავის „ოლიმპიდან“ საჩხერელებს ირაკლი სირბილაძე მიჰყავთ, ხოლო თბილისის „დინამოდან“ ჯაბა დვალი, კახა მახარაძე და გიორგი ქუცურუა.

როგორც შევიტყვეთ, „ჩიხურა“ კიდევ რამდენიმე მოთამაშესთან აწარმოებს მოლაპარაკებას...

გუნდის გაძლიერებასთან ერთად „ჩიხურა“ სტადიონის აშენებასაც იწყებს. თავიდან საჩხერელებს საშინაო შეხვედრების ჩატარება მეზობელ ჭიათურაში სურდათ, მაგრამ, როგორც ირკვევა, მეორე წრეში მეტოქეებს თბილისში უმასპინძლებს.

გუნდი მეორე წრისთვის მზადების პირველ ეტაპს 5 იანვარს თბილისშივე დაიწყებს, მეორე შეკრებას კი ანთალიაში გაივლის.

მიხეილ ჟორჟოლიანი



ხვიჩა ქასრაშვილი გუნდს ავსებს

# გუნდებს ველოდი, ქულებს არა

## გიორგი ჩიხრაძეს სუსტები აშინებენ

**ქართულ ფეხბურთში დეკემბერი შვებულების თვეა, ოღონდ ვისთვის როგორ: „ამერის“ მთავარ მწვრთნელ გიორგი ჩიხრაძეს რომ ვესტუმრეთ, საქმეში ჩაფლული დაგვხვდა, იმ წუთს დავთრებთან იჯდა და ერთ-ერთი თამაშის ანალიზს აკეთებდა. ესეც რომ არა, მწვრთნელის A კატეგორიის ლიცენზიის მისაღებად გამოცდებისთვის ემზადება, კლუბისთვის სამეორეწრეო სამზადისის გეგმაც შესადგენია, ტრანსფერებიც გასაკეთებელი... მოკლედ, გიორგი ჩიხრაძისთვის ჩემპიონატში შესვენება დასვენებას სულაც არ ნიშნავს. ერთსაც შეგახსენებთ: „ამერის“ მთავარი მწვრთნელი „სარბიელმა“ პირველი წრის საუკეთესო მწვრთნელად მიიჩნია...**



— მართალია, გუნდი შვებულებაშია, მაგრამ ჩემთვის მუშაობა გრძელდება. საფიქრალი ძალიან ბევრი მაქვს, ვცდილობ, კიდევ მეტი ცოდნა მივიღო და სამომავლოდ ის შეცდომები გავითვალისწინო, რასაც ახლა, აი, ამ მატჩების გარჩევისას ვხედავ. კარგია, რომ საქართველოში ნელ-ნელა ინერგება მატჩების ანალიზის სისტემა და მწვრთნელებს საკუთარ თავზე მუშაობის მეტი საშუალება გვაქვს — გვითხრა გიორგი ჩიხრაძემ — ადრე, მოსკოვში, მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში სწავლის დროსაც იყო იმის შესაძლებლობა, მატჩები დაწვრილებით გაგვერჩია და იმავეს ვაკეთებთ ახლაც, მწვრთნელთა ლიცენზირების კურსებზე. შემდეგ კი ვცდილობ, იქ ნანახი და მოსმენილი ჩემებურად გავაანალიზო და სათანადო დასკვნები გავაკეთო. მოკლედ, ქართულ ფეხბურთში შესვენებაა, მაგრამ თავისუფალი დრო მაინც არ მაქვს.

**— პირველი წრე დასრულდა. „ამერი“ მესამეა — შედეგით, ალბათ, უკმაყოფილო ხართ...**

— რა თქმა უნდა, კმაყოფილების გრძნობა არ მაქვს... „ამერი“ პირველი წრის უმეტესი პერიოდი ლიდერი იყო, ბოლო ტურის შემდეგ კი გუნდმა ეს ადგილი დათმო. თუმცა პირველ წრეში, განსაკუთრებით ლიდერებთან, იყო ისეთი მატჩები, რის შემდეგაც მომავლის რწმენა მოგვემატა და დავრწმუნდით, რომ გუნდი ბრძოლისუნარიანია, ვთამაშობთ გუნდურ ფეხბურთს და დიდი რეზერვი გაგვაჩნია. დადებით მომენტებთან ერთად, ცხადია, იყო სერიოზული პრობლემებიც და ახლა, მოსამზადებელ პერიოდში სწორედ ამის გამოსწორებაზე უნდა ვიმუშაოთ.

**— უფრო კონკრეტულად, რა პრობლემა გქონდათ?**

— ის, რომ რამდენიმე მატჩის დასაწყისში ფეხბურთელებმა კონცენტრირება ვერ შეძლეს, რისთვისაც დავისაჯეთ კიდეც. „ოლიმპმა“ და „ვიტ ჯორჯიამ“ სწორედ დასაწყისში ისარგებლეს და ორი ბურთით დაწინაურდნენ. დასაწყისშივე გავუშვით გოლი „სიონისგან“ და თასზე „ზესტაფონთან“ შეხვედრისას. ეს ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ ამ მატჩების დასაწყისში გუნდმა დაცვითი ფუნქციები ბოლომდე ვერ შეასრულა. ცხადია, ასეთი თამაშით ძალიან უკმაყოფილო ვიყავი, თუმცა სწორედ დასაწყისშივე მიღებული გოლების შემდეგ ნათლად გამოჩნდა, რომ „ამერი“ მებრძოლი გუნდია და არც ერთ მეტოქეს არაფერს უთმობს. ჩვენ შევძელით ამ მატჩების საჩვენოდ შემობრუნება...

**— თუმცა ვერც ერთი ეს მატჩი ვერ მოიგეთ. „ოლიმპთან“ 0:2 იყო და საბოლოოდ ფრე ითამაშეთ. „სიონთან“ 0:1 გაათანაბრეთ, ხოლო „ვიტ ჯორჯიასთან“ 3:4 წააგეთ...**

## ორჯერ ანთალიაში: ამერი ოქროს დაცვიდან შეუტევს

— ასე იყო, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ჩვენ სამივე ამ მატჩის მოგება შეგვეძლო. საამისოდ კარგი შანსები გვქონდა, მაგრამ ნაღდი მომენტები ველარ გამოვიყენეთ. „ოლიმპთან“ ანგარიშის გათანაბრების შემდეგ სამი-ოთხი რეალური საგოლე მომენტი გაგვიცუდდა, იგივე მოხდა „სიონთან“ შეხვედრისას. „ვიტ ჯორჯიასთან“ ბოლო წუთებზე სულაც 3:2 ვიგებდით, მაგრამ შემდეგ, ცოტა არ იყოს, კურიოზული გამთანაბრებელი გოლი მივიღეთ, ფსიქოლოგიურმა უპირატესობამ მეტოქისკენ გადაინაცვლა და წავაგეთ...

**— ამ მატჩების შემდეგ კი ისე ჩანს, რომ მეტოქემ „ამერის“ სისუსტე უკვე იცის და ყველა ეცდება, დასაწყისშივე დიდი ძალებით შემოგიტიოთ...**

— ჯერ გეტყვით, რომ ხსენებული მატჩების დასაწყისშივე „ამერს“ გოლები ტაქტიკური შეცდომების გამო არ მიუღია, ეს უფრო ინდივიდუალური შეცდომები იყო. ამ პრობლემის მოგვარებაზე ჩვენ ვმუშაობდით და უკვე „ფოლკსვაგენის თასის“ მატჩისას გარკვეული შედეგიც მივიღეთ. ამ თამაშისას შევქმენით სურათი, თითქოს უპირატესობას მეტოქე ფლობდა, თუმცა იქით ველოდით „სიონის“ შეცდომას და, როგორც გამოჩნდა, ასეთმა სტრატეგიამ გაამართლა. მოკლედ, „ფოლკსვაგენის თასზე“ მატჩისას პირველი ნაბიჯი გადავდგით ამ ნაკლის გამოსასწორებლად და მოსამზადებელ პერიოდში კიდევ ბევრს ვიმუშავებთ. ასე რომ, მომავალში მეტოქისთვის არც ისე იოლი იქნება, დასაწყისშივე გაგვიტანოს გოლები.

**— მოსამზადებელ პერიოდში აქცენტს რაზე გააკეთებთ?**

— „ამერს“ ანთალიაში ორი შეკრება აქვს დაგეგმილი, რაც საშუალებას მოგვცემს, უფრო ავამაღლოთ და დავხვეწოთ სათამაშო დისციპლინა, ფუნქციონალურად უკეთ მოვემზადოთ. დიდ ყურადღებას დავუთმობთ დაცვითი ფუნქციების შესრულებას. მეორე წრეში „ამერის“ თამაში შედეგზე ორიენტირებული იქნება, თუმცა ვეცდებით, საჩვენო შედეგი ლამაზი ფეხბურთითაც მივიღოთ.

**— დაცვით ფუნქციებიო, უკვე ორჯერ ახსენეთ. ჩავთვალოთ, რომ „ამერი“ თუ ახალ ფეხბურთელებს დაიმატებს, ისინი მცველები იქნებიან? მით უმეტეს, ერთი ჩამშლელი ნახევარმცველი — მიხეილ მეხი უკვე ამერელია...**

— რა თქმა უნდა, როცა მოთხოვნა იზრდება და ამბიცია მეტია, გუნდიც შესაბამის გაძლიერებას საჭიროებს. ვაპირებთ ახალი ფეხბურთელების დამატებას, მაგრამ ვერ გეტყვით, რომ ისინი მცველები იქნებიან. სხვადასხვა ამპლუის ფეხბურთელები გვსურს, მათ შორის, მცველებიც.

**— პირველი წრის შემდეგ ჩემპიონობის რეალური შანსი „ამერის“ გარდა, კიდევ ოთხ გუნდს აქვს. „ოლიმპი“, „ვიტ ჯორჯია“, „ზესტაფონი“, „დინამო“ — საჩემპიონო ბრძოლაში ამათგან ყველაზე სახიფათო მეტოქედ რომელი მიგაჩნიათ?**

— ვერც ერთს გამოვარჩევ და ამ ოთხეულს კიდევ ჩემპიონ „სიონს“ დავუმატებ. ახლა შესვენებაა, წინ კი მოსამზადებელი პერიოდი. სწორედ ამ მოსამზადებელ პერიოდზე იქნება ძალიან ბევრი დამოკიდებული და კიდევ იმ სასელექციო სამუშაოზე, რასაც ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდები გააკეთებენ. სხვას ვერაფერს გეტყვით, პირველი წრე დამთავრდა, მეორე წრის დაწყებამდე კი შანსების შეფასება ძნელი საქმეა.

**— პირველი წრის შემდეგ ამ გუნდებს მოკლედ როგორ დაახასიათებთ?**

— „ზესტაფონი“, განსაკუთრებით შინ, ძალიან აგრესიულ და შემტევ ფეხბურთს თამაშობდა. კარგად იყენებდნენ ფლანგებს, რითაც მეტოქეებს დიდ პრობლემებს უქმნიდნენ. საკმაოდ დაბალანსებული გუნდი იყო...

„დინამოს“ პრობლემები ჰქონდა, რაც შემადგენლობის გაახალგაზრდავებასა და მწვრთნელთა ცვლილებებით გამოიხატებოდა. გაურკვევლობაში იყვნენ, ახლა კი, მგონი, ყველაფერი დაალაგეს. მეორე წრიდან ალბათ გაცილებით ძლიერ „დინამოს“ ვნახავთ...

„ვიტ ჯორჯიას“ თავიდან სტაბილურობა აკლდა და სეზონი არცთუ შთამბეჭდავად დაიწყო, თუმცა ნელ-ნელა თავისი თამაში დაიჭირა და შედეგიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა...

„ოლიმპი“, ფაქტობრივად, ორი გუნდისგან, „ბათუმისგან“ და „თბილისისგან“ შეიქმნა, ბირთვიც საკმაოდ შეთამაშებული ჩანდა და კარგი ფეხბურთიც ითამაშეს. მწვრთნელმა გიორგი კიკნაძემ ფეხბურთელებთან საერთო ენა გამონახა და შედეგიც სახეზეა...

„სიონსაც“ პრობლემები ჰქონდა პირველ წრეში. ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელი ჰყავდა, თუმცა, მეორე წრეში ეს გუნდი თავის სათქმელს კიდევ იტყვის.

**— პირველ წრეში ისეთი ფეხბურთელი თუ დაინახეთ, ვინც სასიამოვნოდ გაგაკვირვათ?**

— არა, ასეთი არავინ შემიმჩნევია. ისევ ის ფეხბურთელები გამოირჩეოდნენ, ვისგანაც მოსალოდნელი იყო კარგი თამაში. ერთი, შეიძლება, „ვიტ ჯორჯიას“ ნახევარმცველი გიორგი დათუნაიშვილი გამოვარჩიო.

**— იმიტომ ხომ არა, რომ მან „ამერს“ ორი გოლი გაუტანა?**

— არა. მის კარგ თამაშზე ზოგადი სტატისტიკაც მეტყველებს.

**— „ამერიდან“ რომელ ფეხბურთელს გამოარჩევთ?**

— არც ერთს. ფეხბურთელებისგან რას ველოდი და რისი იმედი მქონდა, ეს კლუბის საშინაო საქმეა და ხმამაღლა არ ვიტყვი.

**— იმას თუ ელოდით, რომ პირველი წრის შემდეგ ცხრილის სათავეში ეს გუნდები იქნებოდნენ?**

— ამ გუნდებისგან ლიდერთა შორის ყოფნას ველოდი, მაგრამ არ მეგონა, თუ ჩვენს შორის ასეთი სიმჭიდროვე იქნებოდა...

**— და ერთიც: მეორე წრე როგორი იქნება?**

— ძალიან დაძაბული, იქნება ბევრი საინტერესო მატჩი. თუმცა ვშიშობ, არ შეიქმნას პრობლემური სიტუაციაც და სუსტ და უმოტივაციო გუნდებთან ლიდერთა თამაშებით ეს ინტრიგა არ გაუფერულდეს.

**კობა ინასარიძე**



# სიონი ორშაბათს ელის

**საქართველოს** ჩემპიონმა ბოლნისის „სიონმა“ მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე მეშვიდე ადგილით ჩაამთავრა და კლუბი ჯერაც ვერ არის გარკვეული, რა სატრანსფერო პოლიტიკას მიმართავს სეზონის მეორე ეტაპისთვის — გუშინ „სიონის“ კრება უნდა გამართულიყო, მაგრამ თავყრილობა ბოლნისის გამგებელ გიორგი არევაძის მოუცლელობის გამო ვერ შედგა.

„სიონში“ კრება ორშაბათს ჩატარდება და ძალიან ბევრი რამ გაირკვევა. რამდენიმე ფეხბურთელს ხელფასის მომატება სურს, ზოგს კი ალბათ თვითონ გუნდი შეელევა. იმას კი წყალი არ გაუვა, რომ დღეს არსებული კონტინგენტით „სიონი“ ტიტულის შენარჩუნებას ვერ მოახერხებს.

ბოლნისელები იანვარში „თანამეგობრობის თასზე“ გამოვლენ და თუ ვერ გაძლიერდნენ, რუსეთის დედაქალაქში კარგი დღე არ უწერიათ...

**ლუკა თალაკვაძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. 1/8 ფინალის წილისყრა




AFP ფოტოები

ჩემპიონთა ლიგის წილისყრას ჩვენი კოლეგებიც დაესწრნენ „რუსთავი 2“-დან

პორტუ (პორტუგალია) — ჩელსი (ინგლისი)

სელტიკი (შოტლანდია) — მილანი (იტალია)

პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — არსენალი (ინგლისი)

ლილი (საფრანგეთი) — მანჩესტერი (ინგლისი)

რომა (იტალია) — ლიონი (საფრანგეთი)

ბარსელონა (ესპანეთი) — ლივერპული (ინგლისი)

რეალი (ესპანეთი) — ბაიერნი (გერმანია)

ინტერი (იტალია) — ვალენსია (ესპანეთი)

I მატჩები გაიმართება 2007 წლის 20-21 თებერვალს, საპასუხოები 6-7 მარტს

## ბოდიში, რომ მოგიგეთ
### რა უნდა ჩელსის დამარცხებას?

2006 2005-ის წინააღმდეგ, ანუ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, უმსხვილესი ევროშეჯიბრების ბოლო გამარჯვებული „ბარსელონა“ წინა წლის ტრიუმფატორ „ლივერპულს“ შეხვდება — ასე განსაჯა შვეიცარიაში გამართულმა კენჭისყრამ.

„ჩვენ ბოლო ორი გამარჯვებული ვართ და დაპირისპირებაც განსაკუთრებული გამოგვივა — განაცხადა კატალონიელთა პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ — „ლივერპული“ მეტად ძლიერი მოწინააღმდეგეა, რომელიც ძალისმიერი სტილის ფეხბურთს მისდევს. გარდა ამისა ამ გუნდში არიან ფეხბურთელები, რომელთაც კარგად ვიცნობთ, მაგალითად, ჩვენი ყოფილი მოთამაშე ლუის. გარსია და ხაბი ალონსო. და მაინც, მიუხედავად ფეხბურთელებისა, „ლივერპული“ უპირველეს ყოვლისა გუნდია, რომელსაც ერთიანად უნდა დაძლევა“.

კენჭისყრამ „პორტუს“ ინგლისის ჩემპიონი „ჩელსი“ არგუნა, სხვა სიტყვებით კი ჟოზე მაურინიუ ხვდება გუნდს, რომელსაც 2004 წელს მოაგებინა ტიტული, რომელიც როგორც „ჩელსის“ თავკაცს არ მოუგია.

„პორტუს“ გენერალური მენეჯერი ანტერო ენრიკე:

„მატჩამდე ჟოზე მაურინიუსთან დარეკვას თუ ვაპირებ? არა, აი, მატჩის დამთავრების შემდეგ კი მივალ და ვეტყვი, ბოდიში რომ დაგამარცხეთ. ჩვენ წინ ორი საგანგებო თამაში გველის და მათი მოგება გვინდა. რა უნდა „ჩელსის“ დამარცხებას? ეს ძალიან ადვილია, უბრალოდ მასზე უკეთ უნდა ითამაშო“.

ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედი“, რომელიც ინგლისის ჩემპიონატში „ჩელსის“ ხუთი ქულით უსწრებს, ფრანგულ „ლილს“ შეხვდა.

„მანჩესტერელებს უდიდეს პატივს ვცემთ, მაგრამ მეტისმეტიც არ უნდა მოგვივიდეს. კენჭისყრით მაინც და მაინც კმაყოფილი არ გახლავართ, რადგან გვერჩივნა ისეთ მეტოქეს შევხვედროდით, რომლის შესახებ ამდენი არ გვეცოდინებოდა“ — ეს „ლილის“ გენერალური მენეჯერის ჟერომ ლესტირის სიტყვებია.

გამორჩეული წყვილია „სელტიკი“ — „მილანიც“.

„მილანის“ წარმომადგენელი უმბერტო განდინი: „გლაზგოელებმა ჯგუფურ ეტაპზე მშვენივრად ითამაშეს, მათ „მანჩესტერ იუნაიტედსაც“ კი მოუგეს, მაგრამ ზოგ ესპანურ კლუბთან გადაყრას ისევ მათთან შეხვედრა გვიჯობს“.

**პაპუნა ძედია**

## უეფას თასი 2006-2007 1/16 ფინალის წილისყრა

ზულტე-ვარეგემი (ბელგია) — ნიუკასლი (ინგლისი)
ბრაგა (პორტუგალია) — პარმა (იტალია)
ლანსი (საფრანგეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
ლევერკუზენი (გერმანია) — ბლექბერნი (ინგლისი)
ჰაპოელი (ისრაელი) — რეინჯერსი (შოტლანდია)
ლივორნო (იტალია) — ესპანიოლი (ესპანეთი)
ფეიენოორდი (ჰოლანდია) — ტოტენჰემი (ინგლისი)
ფენერბაჰჩე (თურქეთი) — ალკმაარი (ჰოლანდია)
ვერდერი (გერმანია) — აიაქსი (ჰოლანდია)
სპარტაკი (რუსეთი) — სელტა (ესპანეთი)
ცსკა (რუსეთი) — მაკაბი (ისრაელი)
აეკ (საბერძნეთი) — პსჟ (საფრანგეთი)
ბენფიკა (პორტუგალია) — დინამო (რუმინეთი)
სტიაუა (რუმინეთი) — სევილია (ესპანეთი)
შახტარი (უკრაინა) — ნანსი (საფრანგეთი)
ბორდო (საფრანგეთი) — ოსასუნა (ესპანეთი)

*პირველი მატჩები გაიმართება 2007 წლის 14-15 თებერვალს, საპასუხოები 22 თებერვალს*

## მერვედფინალის წილისყრა

ზულტე-ვარეგემი ან ნიუკასლი — ფენერბაჰჩე ან ალკმაარი
ცსკა ან მაკაბი — ლივორნო ან ესპანიოლი
ჰაპოელი ან რეინჯერსი — ბორდო ან ოსასუნა
ბრაგა ან პარმა — ფეიენოორდი ან ტოტენჰემი
სტიაუა ან სევილია — შახტარი ან ნანსი
ლანსი ან პანათინაიკოსი — ლევერკუზენი ან ბლექბერნი
აეკ ან პსჟ — ბენფიკა ან დინამო
სპარტაკი ან სელტა — ვერდერი ან აიაქსი

*პირველი მატჩები გაიმართება 2007 წლის 8 მარტს, საპასუხოები 15 მარტს*

## ჰოიზერს ციხე დაუმტკიცეს

**გერმანიის** უმაღლესმა სააპელაციო სასამართლომ 27 წლის მსაჯს, რობერტ ჰოიზერს საჩივარზე უარი უთხრა და პატიმრობის ვადა 2 წელიწადი და 5 თვე უცვლელად დაუტოვა. შეგახსენებთ, რომ ჰოიზერი მატჩების ტენდენციურად სჯისთვის გაასამართლეს. მისი ტენდენციურობის შედეგად არალეგალურად „გაკეთდა“ 2 მილიონი ევრო ანუ 2,64 მილიონი დოლარი. შეგახსენებთ იმასაც, რომ ეს ამბავი გერმანიაში მსოფლიოს ჩემპიონატის წინა პერიოდში მოხდა და კინაღამ შებღალა მასპინძელი ქვეყნის რეპუტაცია.

ჰოიზერმა და კიდევ ხუთმა ადამიანმა, რომელთაც ლაიპციგში მდებარე სააპელაციო სასამართლომ უარი უთხრა, საჩივარი ფედერალური პროკურორის ჰარმუტ შნაიდერის წახალისებით შეიტანეს. ნოემბერში შნაიდერმა განაცხადა, რომ ამ ხალხს, უპირველეს ყოვლისა კი ჰოიზერს არანაირი კანონი არ დაურღვევია. შნაიდერი იმ ფაქტს იშველიებდა, რომ ბერლინის სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე ანალოგიური საქმეები არ შეესწავლა და საერთოდაც ვერდიქტი ნაჩქარევად იყო გამოტანილი, სიჩქარის მიზეზი კი, პროკურორის აზრით, მოახლოებული მუნდიალის წინ ქვეყნის რეპუტაციის გადარჩენა გახლდათ.

რობერტ ჰოიზერმა ბერლინის სასამართლოს წინაშე აღიარა თამაშების განზრახ ცუდად სჯა, რაც გერმანული ფეხბურთის ისტორიაში ბოლო 30 წლის ყველაზე დიდ სკანდალად შეფასდა. მაგალითად, საუბარი იყო რეგიონალლიგის „პადერბორნის“ სასარგებლოდ ორი პენალტის დანიშვნასა და მეტოქე გუნდის ფეხბურთელის გაძევებაზე. მეორე გუნდი ამ შემთხვევაში „ჰამბურგი“ გახლდათ, ხოლო მატჩი გერმანიის თასისა იყო.

ჰოიზერის დამკვეთმა მავანმა ხორვატმა ანტე საპინამ, ამ შეხვედრის შედეგით (4:2 „პადერბორნის“ სასარგებლოდ) 750 ათასი ევრო ჩაიჯიბა, ჰოიზერს კი 67 ათასი ერგო. საპინას ორი წელიწადი და 11 თვე აქვს მისჯილი.

**პაპუნა ძედია**



# სტანკოვიჩის ბოლო ინტერია


ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანის „ინტერის“ ნახევარმცველმა დეიან სტანკოვიჩმა, რომელიც სეზონს ბრწყინვალედ ატარებს, განაცხადა, კარიერის დასრულება „ნეროაძურიში“ მსურსო. 28 წლის სერბის კლუბთან მოქმედ შეთანხმებას ვადა 2008 წლის ზაფხულში გასდის.

„ის, ვინც ამბობს, რომ ჩემი გუნდში დარჩენა რობერტო მანჩინის წასვლა-არწასვლაზეა დამოკიდებული, ცდება. ეს ჩემი და კლუბის ხელმძღვანელობის საქმეა, სწორედ მათ უნდა მოველაპარაკო. იმედია, კარიერას „ინტერში“ დავასრულებ, აქ თავს მშვენივრად ვგრძნობ და თუ გუნდს სურს, თუნდაც ახლავე, თქვენს თვალწინ მოვაწერ ხელს ახალ ათწლიან კონტრაქტს“ — თქვა სტანკოვიჩმა.

„ნეროაძური“ სერია A-ს შვიდქულიანი უპირატესობით კი ლიდერობს და დამაჯერებლადაც გამოიყურება, მაგრამ სტანკოვიჩმა იცის, რომ წინ კიდევ დიდი გზაა: „სკუდეტოზე ლაპარაკი ჯერ ძალიან ადრეა, ბევრი მატჩი და სეზონის ყველაზე დაძაბული ნაწილია დარჩენილი. თუმცა ის უპირატესობა რაც ახლა გვაქვს, ნამდვილად დიდი პლუსია. „რომა“ და „პალერმო“ ბრწყინვალე, შეკრული გუნდები არიან, რომლებიც ბოლომდე იბრძოლებენ, ამიტომ თავს მოდუნების საშუალება არ უნდა მივცეთ და ვეცადოთ, თამაში კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, ჩვენი ყველა სავარაუდო მეტოქე ძლიერია, მაგრამ „ლიონთან“ შეხვედრას არ ვისურვებდი“.

ცუდი ამბავი „ინტერისთვის“ ის არის, რომ ფაბიო გროსო ისევ დაშავდა და ექიმების თქმით, სამი კვირა დასვენება მოუწევს. შესაბამისად, იგი „მესინასთან“, „ლაციოსთან“ და „ატალანტასთან“ სერია A-ს მატჩებს გამოტოვებს. „პერუჯასა“ და „პალერმოს“ ყოფილმა მცველმა ტრავმა გასულ უქმეებზე „ემპოლისთან“ მატჩში მიიღო.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ნედვედს ხუთიანი არ გადაუკეთეს

**პაველ ნედვედმა** დაადასტურა, რომ კარიერის დასრულებაზე ფიქრობს. იგი „ჯენოასთან“ მატჩში სტეფანო ფარინასთან შეხლა-შემოხლის გამო ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს, რამაც ჩეხი ძალიან გააბრაზა და გაანაწყენა.

„არ ვიცი, კარიერას გავაგრძელებ თუ არა, ეს ხუმრობა არ არის. „იუვენტუსი“ შეიცვალა, მაგრამ დანარჩენი საფეხბურთო სამყარო იგივე დარჩა. კალჩოპოლის სკანდალის მერე მსაჯებმა რატომღაც გადაწყვიტეს, რომ სადავო ეპიზოდებში ჩვენი საწინააღმდეგო გადაწყვეტილება უნდა მიიღონ. ის კი არ ესმით, რომ უკვე ზედმეტად დავისაჯეთ. მიუხედავად ამისა, მე არ შევცვლილვარ და ისეთივე მონდომებით ვკარჯიშობ, როგორც ადრე. იმედია, დისკვალიფიკაციას გამიუქმებენ ან შემიმცირებენ. ამ ფაქტს ვერაფრით



ვივიწყებ, გულახდილი ადამიანი ვარ და არაფრის დამალვა არ შემიძლია. ასეთ სასჯელს ნამდვილად არ ვიმსახურებდი. კარგად არ მოვქცეულვარ და პატარა ქომაგებს ცუდი მაგალითი მივეცი, მაგრამ ფარინასთვის ფეხზე ნამდვილად არ დამიბიჯებია, უბრალოდ, გაბრაზებული ვიყავი. მას ყველაფერი არასწორად ახსოვს. თანაც ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია ძალიან იშვიათია. როგორც ადრე ვთქვი, ზინედინ ზიდანი, მარკო მატერაცის თავი რომ დაარტყა, მხოლოდ სამი თამაშით დასაჯეს. თან მას კარიერა დასრულებული ჰქონდა და ჩემთვის ასეთი მკაცრი განაჩენის გამოტანა უსამართლობაა“ — განაცხადა ნედვედმა.

„იუვენტუსს“ იმედი ჰქონდა, რომ დისკვალიფიკაციას სამ მატჩამდე შეამცირებდნენ, მაგრამ ტურინელთა და ვეტერანი ჩეხის მოლოდინი არ გამართლდა. აპელაციამ არ გაჭრა, იტალიის ფეხბურთის ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა პირველადი განაჩენი ძალაში დატოვა.

„ნედვედი მეტოქეს ეუხეშა და მსაჯმა ეს სწორად შეაფასა. ამას ჩეხის არაადეკვატური რეაქცია მოჰყვა, ძალიან გაბრაზდა და ფარინას ფეხზე დააბიჯა. ასე რომ, გასარჩევი არაფერია“ — ნათქვამია სადისციპლინო კომიტეტის ოფიციალურ განცხადებაში.

მიუხედავად ამისა, „იუვენტუსი“ და ნედვედი დანებებას არ აპირებენ. კლუბი გადაწყვეტილებას ამჯერად ფედერალურ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს. ტურინელთა სპორტულ დირექტორ ალესიო სეკოს თქმით, ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია ძალიან უსამართლოა და გუნდი ბოლომდე იბრძოლებს, რათა მის შემცირებას მიაღწიოს.

„ბებერი ქალბატონის“ მწვრთნელმა დიდიე დეშანმა კი თქვა, რომ მისი გუნდი მომავალ სეზონში ჩემპიონობისთვის იბრძოლებს, თუმცა ფეხბურთელებს მოუწოდა, ჯერ უმაღლეს ლიგაში დაბრუნება გავინაღდოთ და გეგმები მერე დავაწყოთო.

„ფეხბურთელების მოთხოვნა მესმის. მათ უნდათ, რომ ძლიერი გუნდი გვყავდეს და ტიტულებისთვის ვიბრძოლოთ. ეს ჩვენი სურვილიც არის. მჯერა, გავძლიერდებით და სკუდეტოსთვისაც ვიბრძოლებთ. თუმცა იქამდე დიდი დროა, 27 მატჩი გვაქვს დარჩენილი და ჯერ სერია A-ს საგზური უნდა გავინაღდოთ. თუ კონცენტრაცია დავკარგეთ, პრობლემები შეგვექმნება“ — აღნიშნა ფრანგმა სპეციალისტმა.

**გიორგი ძაძაბაძე**

| XVI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| უდინეზე | : | კალიარი |
| ფიორენტინა | : | მილანი |
| **ხვალ** | | |
| ასკოლი | : | ტორინო |
| კატანია | : | ემპოლი |
| ლივორნო | : | ლაციო |
| ინტერი | : | მესინა |
| პარმა | : | კიევო |
| რეჯინა | : | სამპდორია |
| რომა | : | პალერმო |
| სიენა | : | ატალანტა |



რობერტო მანჩინი რეკორდზე მიდის

## იტალია

# სად ჩაიწერება მანჩინის სახელი?

**მე-16 ტურში** „ინტერს“ ლიდერობის შენარჩუნებისა და მორიგი სამი ქულის მიმატების დიდებული შანსი აქვს — „სან სიროზე“ „მესინა“ ჩაუდის. თუმცა, მარტო ლიდერობის შენარჩუნება რაა, მილანელებმა შესაძლოა, უპირატესობა გაზარდონ კიდეც. საქმე ის არის, რომ „რომა“ და „პალერმო“ ერთმანეთს ხვდებიან. ერთი სიტყვით, რობერტო მანჩინიმ კარგად იცის, რომ დღეს მხოლოდ გამარჯვება სჭირდება, რაც, გარდა სატურნირო მდგომარეობისა, იმითაც იქნება მნიშვნელოვანი, რომ „ინტერი“ ზედიზედ მიღწეულ გამარჯვებათა რეკორდს დაამყარებს. მართალია, მანჩინი ამბობს, რომ მისთვის რეკორდი ცხრილთან შედარებით არაფერს ნიშნავს, ფაქტია, რომ წინა რეკორდის თანაავტორების, დიდი ელინიო ერერასა და ჯოვანი ტრაპატონის წინ სწორედ მისი სახელი ჩაიწერება.

„მესინაზე“ რა გითხრათ, ცუდ ფორმაშია და ნამდვილად არ ჰგავს იმ გუნდს, რომელიც მიმდინარე კამპანიაში პირველ სტუმრულ გამარჯვებას მაინცა და მაინც ლიდერთან მოიპოვებს. წინა ჩემპიონატში, „სან სიროზე“ „ინტერმა“ „მესინას“ 3:0 მოუგო.

ერთი სიტყვით, მე-16 ტურის მთავარი თამაში „რომასა“ და „პალერმოს“ დაპირისპირებაა „სტადიო ოლიმპიკოზე“. მატჩი სატურნირო თვალსაზრისით რომ არის ძალიან მნიშვნელოვანი, უკვე მოგახსენეთ, გარდა ამისა კი „რომასთვის“ თავმოყვარეობის საკითხი დგას მწვავედ — „ჯალოროსიმ“ წინა ტურში რომაული დერბი წააგო სამარცხვინოდ 0:3.

ვინ არ ეყოლება „რომას“? არ იქნებიან დაშავებულები, ჟილბერტო მარტინესი, მატეო ფერარი და ალბერტო აკილანი, თუმცა მიმომხილველები საგანგებოდ უსვამენ ხაზს, რომ კრისტიან პანუჩი და დავიდ პიზარო ჩინებულ ფორმაში და ჯანმრთელად ბრძანდებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ „რომას“ შემადგენლობას შესუსტებული ნამდვილად არ ეთქმის.

„პალერმოში“ ტრავმის გამო არ იქნებიან აიმო დიანა, ჩეზარე ბოვო, ფაბრიციო ბიავა და ფრანკო ბრიენცა თუმცა, არ არის გამორიცხული, დიანამ შეძლოს თამაში. და თუ მაინც ვერ შეძლებს, როგორც გამოჩნდა, მას რობერტო გუანა ცვლის საკმაოდ ღირსეულად. საბოლოოდ იმის თქმა გვინდა, რომ მწვრთნელს ფრანჩესკო გვიდოლინს შემადგენლობასთან დაკავშირებული გადაუჭრელი პრობლემები არ აქვს.

ცნობისთვის: წინა ჩემპიონატში „სტადიო ოლიმპიკოზე“ „პალერმომ“ „რომას“ 2:1 მოუგო.

უცნაური თამაში გაიმართება „სტადიო ანჯელო მასიმინოზე“. ეს სარბიელი სიცილიაზე, კატანიაშია, სადაც „კატანია“ „ემპოლის“ უმასპინძლებს. რა არის აქ უცნაური? ის, თუ რა რანგში ხვდებიან ეს ჩვეულებრივ სუსტი გუნდები ერთმანეთს — ისინი სერია A-ს მეოთხე და მერვე ადგილზე მყოფთა რანგში იბრძოლებენ. ასეა, გაისტუმრეს იტალიელებმა „იუვენტუსი“ სერია B-ში და...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 15 | 12 | 3 | 0 | 32:14 | 39 |
| რომა | 15 | 10 | 2 | 3 | 32:14 | 32 |
| პალერმო | 15 | 10 | 1 | 4 | 30:18 | 31 |
| კატანია | 15 | 6 | 5 | 4 | 21:26 | 23 |
| ლაციო | 15 | 7 | 3 | 5 | 25:13 | 21 |
| ატალანტა | 15 | 5 | 5 | 5 | 24:24 | 20 |
| ლივორნო | 15 | 5 | 5 | 5 | 15:18 | 20 |
| ემპოლი | 15 | 4 | 7 | 4 | 12:13 | 19 |
| სიენა | 15 | 4 | 7 | 4 | 13:16 | 18 |
| ტორინო | 15 | 4 | 6 | 5 | 10:17 | 18 |
| სამპდორია | 15 | 4 | 5 | 6 | 21:21 | 17 |
| უდინეზე | 15 | 4 | 5 | 6 | 14:16 | 17 |
| კალიარი | 15 | 2 | 10 | 3 | 13:14 | 16 |
| მესინა | 15 | 3 | 5 | 7 | 18:25 | 14 |
| მილანი | 15 | 5 | 6 | 4 | 14:14 | 13 |
| ფიორენტინა | 15 | 8 | 2 | 5 | 22:15 | 11 |
| კიევო | 15 | 2 | 4 | 9 | 13:20 | 10 |
| პარმა | 15 | 2 | 4 | 9 | 12:27 | 10 |
| ასკოლი | 15 | 0 | 6 | 9 | 10:23 | 6 |
| რეჯინა | 15 | 5 | 5 | 5 | 17:20 | 5 |

*სიენას დაკლებული აქვს 1 ქულა, ლაციოს 3 ქულა, მილანს 8 ქულა, რეჯინას 15 ქულა, ფიორენტინას 15 ქულა*

საქმეში ჩახედული ადამიანები ამ შეხვედრაში 35 წლის კატანიელის ანდრეა პანტანელის დაკვირვებას გვირჩევენ. ბოლო დროს ეს ძია კაცი თინეიჯერივით დაქრის მოედანზე წინ და უკან და ხშირად თავის გუნდს „სამქულიანებით“ აჯილდოვებს.

„მილანი“ კი „ფიორენტინაში“ თამაშობს. ეს მე-15 და მე-16 ადგილზე მყოფი გუნდების თამაშია. „მილანში“ ძველებურად ტრავმების კრიზისია, თუმცა როგორც ჩანს ეს კრიზისიც დაიძლევა — მოედანს ჯენარო გატუზო უბრუნდება.ჯანმრთელდებიან კაკა და კახა კალაძეც.

**კაკუნა კედია**

# ცოლის თოჯინა



„მილანის“ პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ სენსაციური განცხადება გააკეთა — ანდრეი შევჩენკო ცოლის ხელში მყოფი თოჯინა და ქალაჩუნაა. ყოველ შემთხვევაში, იტალიურმა პრესამ ასეთი ინფორმაცია გაავრცელა, რასაც გამოხმაურება ჯერ არ მოჰყოლია. როგორც ჩანს, 70 წლის პოლიტიკოსი უკრაინელ ფორვარდს „ჩელსიში“ გადასვლას ვერ პატიობს. მოგეხსენებათ, შევას ლონდონში გადაბარგება დიდწილად მისი მეუღლის, კრისტენ პაზიკის სურვილმა განაპირობა.

„იგი არ მოიქცა ისე, როგორც კაცს შეეფერება. შევჩენკო ცოლის თოჯინაა. ნამდვილი „მილანისტი“ და ნამდვილი კაცი ასე არასდროს მოიქცევა. ჩემს სახლში გადაწყვეტილებებს მხოლოდ მე ვიღებ და წესებსაც მე ვაწესებ. შევას კი როცა ცოლი ელაპარაკება, იგი თოჯინასავით იქცევა და ლოგინის ქვეშ ძვრება“ — უთქვამს ბერლუსკონის.

არადა, აქამდე დონ სილვიო შევჩენკოზე სულ მოწიწებით და თბილად ლაპარაკობდა. მან არაერთხელ ისიც თქვა, თუ შევა დაბრუნდება, სიამოვნებით მივიღებთო.

ბერლუსკონიმ კაკაზეც ისაუბრა, რომლითაც მადრიდის „რეალია“ დაინტერესებული და მზად არის, „მილანს“ დიდი ფულიც გადაუხადოს: „მე ვუთხარი მას, რომ ხელმძღვანელობა და „როსონერის“ ფანები კაკას გუნდის სიმბოლოდ მოვიაზრებთ. მეამაყება, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი „მილანს“ ეკუთვნის და მჯერა, იგი გუნდში დარჩება“.

ბოლოს დონ სილვიომ „ინტერსაც“ წაჰკბინა: „ნეროაძური“ ამჟამად სერია A-ს დამაჯერებლად ლიდერობს და შესაძლოა, ამ სეზონში თორმეტწლიანი წაგებების მერე წარმატებასაც მიაღწიოს“.

**გიორგი კაკაბაძე**

# ძაღლადაც არ მაგდებდა



**ამ უქმეებზე** „ლივერპული“ „ჩარლტონს“ სტუმრობს, კოპის კაპიტანი კი იმ დროს იხსენებს, როცა ჩარლტონელთა ამჟამინდელი ბოსი ლეს რიდი მას, ჯერაც უწვერულ ბიჭს ძაღლადაც არ აგდებდა.

ეს ამბავი ექვსი წლის წინათ ევროპის ჩემპიონატზე იყო, როცა რიდი და „სიტის“ ამჟამინდელი თანაშემწე-მწვრთნელი ლერეკ ფაზაკერლი მენეჯერ კევინ კიგანის ხელქვეით, ნაკრებში მუშაობდნენ. „მე არც ფაზაკერლის და არც რიდის პატივს არ ვცემ. მე ნაკრებში პირველად მიწვეული პატარა ბიჭი ვიყავი, რომელსაც უცხოეთის სტადიონები ჯერ არ ენახა. ისინი ადამიანად არ მაგდებდნენ. არც უფიქრიათ იმაზე, რომ საყვარელ ოჯახს მოწყვეტილი გამოუცდელ ბიჭს, რაღაც გაუჭირდებოდა. მოკლედ, თავს ნამდვილ არარაობად მაგრძნობინებდნენ“.

ეს არის ნაწყვეტი ჯერარდის ავტობიოგრაფიული წიგნიდან და ამის წამკითხავი რიდი ცოტა გაოცებულია: „ჩემს ოთახში ჩარჩოში ჩასმული მაისურა კიდია. ეს არის სტივის 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის სამოსი. ზედ აწერია: „საუკეთესო სურვილებით, სტივენ ჯერარდი“. ასე რომ, სტივს გავუგებ. ის უკვე ვარსკვლავია და უკვე იცის, რომ მწვრთნელის მითითებები ზუსტად უნდა შეასრულოს. მას ექვსი წლის წინაც კოჭებში ეტყობოდა რა იყო თუმცა მაშინ ბევრი რამის სწავლა უწევდა“.

**ირაკლი გამყრელიძე**

| XVIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ნიუკასლი | : | უოტფორდი |
| რედინგი | : | ბლექბერნი |
| უიგანი | : | შეფილდი |
| არსენალი | : | პორტსმუთი |
| ასტონ ვილა | : | ბოლტონი |
| ჩარლტონი | : | ლივერპული |
| **ხვალ** | | |
| ევერტონი | : | ჩელსი |
| სიტი | : | ტოტენჰემი |
| ვესტ ჰემი | : | მანჩესტერი |
| **ზეგ** | | |
| ფულემი | : | მიდლსბრო |

# ინგლისი

## ჩვენთვის პრობლემა არ არის

**რაც** ჟოზე მაურინიუ „ჩელსის“ თავკაცობს, გუნდს პრემიერლიგაში ასე არ გასჭირვებია. ლონდონელებმა შუა კვირაში ტრავმით მოთამაშე დიდიე დროგბას გვიანი გოლით კი მოუგეს „ნიუკასლს“, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ სხვაობა ისევ საკმაოდ დიდია — 5 ქულა. „წითელი ეშმაკები“ კი ახლა შესაშურად ბურთაობენ, ჩემპიონატში ბოლო 12 მატჩიდან 11 მოიგეს და თუ „ჩელსიმ“ კიდევ წაიფორხილა, სელ ალექს ფერგიუსონის გუნდისთვის ხელის შეშლა უკვე ძალიან ძნელი იქნება.

ხვალ „ჩელსი“ „ევერტონს“ სტუმრობს. „გუდისონ პარკიდან“ 3 ქულის წამოღება იოლი საქმე როდია, მაგრამ ლონდონელებს სხვა გზა არ აქვთ.

„წინა ორი სეზონი განსხვავებული იყო. დებიუტიდანვე უპირატესობა გვქონდა და ბოლომდე ვინარჩუნებდით მას. ახლა ლიდერთან 5 ქულა გვაშორებს, მაგრამ ეს ჩვენთვის პრობლემა არ არის. წინ კიდევ დიდი გზაა და დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩემპიონები გავხდებით. „ჩელსის“ ერთ-ერთი მთავარი იარაღი სწორედ ფსიქოლოგიური სიძლიერეა. მობილიზებას არ ვკარგავთ და თამაშზე ვართ კონცენტრირებული. მეტი არც არაფერი შეგვიძლია. მთავარია, სულ მოგებაზე ვფიქრობთ. წინ „მანჩესტერსაც“ ბევრი რთული მატჩი აქვს. დანარჩენს დრო გვაჩვენებს“ — განაცხადა ლონდონელთა ჰოლანდიელმა ლეგიონერმა არიენ რობენმა.

„ევერტონი“ — „ჩელსი“ ახალი დამთავრებული იქნება, „აპტონ პარკზე“ „ვესტ ჰემისა“ და „მანჩესტერის“ ფეხბურთელები რომ შეაბიჯებენ. „ჩაქუჩებს“ ახალი მწვრთნელი ჰყავთ — „ჩარლტონის“ ყოფილი თავკაცი და ალექს ფერგიუსონის მეგობარი ალან კერბიშლი. იგი რომ ჭკვიანი და ნიჭიერი ტაქტიკოსია, ბოლო წლებშიც დაამტკიცა.

„ვესტ ჰემის“ ხელმძღვანელობამ ალან პარდიუ რომ მოხსნა და პოსტი კერბიშლის შესთავაზა, ფერგიუსონმა მას საჯაროდ ურჩია ამ წინადადებას დათანხმდიო. თუმც სერ ალექსი რომ შეეცდება, მეგობარს დებიუტი ჩააშხამოს, ამას თქმაც არ უნდა.

გავიხსენოთ, ფერგიუსონის შუა კვირაში გაკეთებული კიდევ ერთი საინტერესო კომენტარი — „მანჩესტერში“ ყოფნის ოცწლიან პერიოდში სულ ექვსი მსოფლიოს კლასის მოთამაშე მყოლია, პიტერ შმეიხელი, რაიან გიგზი, ერიკ კანტონა, უეინ რუნი, როი კინი და პოლ სქოულზიო“. შოტლანდიელმა სპეციალისტმა დასძინა, ცოტა რომ დალვინდება, ამ სიას კრიშტიანუ რონალდუც შეუერთდებაო. ალბათ ამჩნევთ, რომ ჩამოთვლილთა შორის არ არის დევიდ ბექჰემი...

„არსენალს“ პირველად ეწვევა აგვისტოში გუნდიდან წასული სოლ კემპბელი. მისი „პორტსმუთი“ არსენ ვენგერის გუნდს ამჟამად მესამე ადგილს ედავება. თან „პომპეის“ რიგებში კიდევ ერთი ყოფილი „მეთოფე“ კანუ ბრწყინავს და, ერთი სიტყვით, საინტერესო ჯახს უნდა ველოდოთ.





ხუთეულში მყოფი „ლივერპული“ აუტსაიდერ „ჩარლტონს“ სტუმრობს. გამორჩეული მატჩია „ვილა პარკზეც“, „ასტონ ვილა“ „ბოლტონს“ მასპინძლობს.

**კოკი კანდელაკი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | | 1:1 | 0:1 | 3:0 | 2:0 | | | | 1:0 | 3:0 | | 3:1 | 5:1 | 2:0 | | | | | | |
| 2 | ჩელსი | | | 1:1 | 2:1 | 1:0 | | | 1:1 | | | | 3:0 | | 1:0 | | | | 1:0 | 2:1 | 4:0 |
| 3 | არსენალი | | | | | 3:0 | | | 1:1 | 3:0 | 1:1 | | | | 1:1 | 1:1 | 3:0 | | | | 3:0 |
| 4 | პორტსმუთი | | | | | | 0:1 | 3:1 | 2:2 | | 2:0 | 1:0 | | 1:1 | | | | 3:0 | 2:0 | | 2:1 |
| 5 | ლივერპული | | | | 0:0 | | | 2:0 | 3:1 | 3:0 | | | 1:0 | 4:0 | 2:0 | | | 1:1 | 2:1 | | |
| 6 | ბოლტონი | 0:4 | 0:1 | 3:1 | | 2:0 | | | | 2:0 | | 0:1 | | | | 0:0 | | | 4:0 | | 1:0 |
| 7 | რედინგი | 1:1 | 0:1 | 0:4 | | | 1:0 | | | 3:1 | | | 1:0 | | | 3:2 | | | | 2:0 | |
| 8 | ასტონ ვილა | | | | | | | 2:1 | | 1:1 | | | 1:3 | 1:1 | 2:0 | 1:1 | | 2:0 | | 2:0 | |
| 9 | ტოტენჰემი | | 2:1 | | 2:1 | | | | | | 0:2 | 3:1 | | 0:0 | | 2:1 | 2:0 | | 1:0 | 5:1 | |
| 10 | ევერტონი | | | | | 3:0 | 1:0 | | 0:1 | | | 2:2 | 1:1 | | | | 2:0 | | 2:0 | | 2:1 |
| 11 | უიგანი | 1:3 | | 0:1 | | 0:4 | | 1:0 | 0:0 | | | | 4:0 | | | | | | | 3:2 | 1:1 |
| 12 | სიტი | | | 1:0 | 0:0 | | | | | | | | | 3:1 | 0:0 | 1:0 | 0:0 | | 2:0 | | 0:0 |
| 13 | ფულემი | | 0:2 | 2:1 | | | 1:1 | 0:1 | | | 1:0 | 0:1 | | | | | 1:0 | | | 2:1 | |
| 14 | ნიუკასლი | | | | 1:0 | | 1:2 | 3:2 | | | 1:1 | 2:1 | | 1:2 | | | 0:1 | | | 0:0 | |
| 15 | მიდლსბრო | 1:2 | 2:1 | | 0:4 | 0:0 | | | | | 2:1 | 1:1 | | | 1:0 | | | 0:1 | 1:0 | | |
| 16 | შეფილდი | 1:2 | 0:2 | | | 1:1 | 2:2 | 1:2 | 2:2 | | | | | | | 2:1 | | 0:0 | | 2:1 | |
| 17 | ბლექბერნი | 0:1 | 0:2 | | | | 0:1 | | | 1:1 | 1:1 | 2:1 | 4:2 | 2:0 | 1:3 | | | | | | |
| 18 | ვესტ ჰემი | | | 1:0 | | | | 0:1 | 1:1 | | | 0:2 | | | 0:2 | | 1:0 | 2:1 | | 3:1 | |
| 19 | ჩარლტონი | 0:3 | | 1:2 | 0:1 | | 2:0 | | | | 1:1 | | 1:0 | | | | | 1:0 | | | 0:0 |
| 20 | უოტფორდი | 1:2 | | | | | | 0:0 | 0:0 | 0:0 | | | | 3:3 | | 2:0 | 0:1 | | 1:1 | | |

| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | 17 | 14 | 2 | 1 | 38:9 | 44 | 7 | 1 | 1 | 20:4 | 22 | 7 | 1 | 0 | 18:5 | 22 |
| 2 | ჩელსი | 17 | 12 | 3 | 2 | 27:9 | 39 | 7 | 2 | 0 | 16:4 | 23 | 5 | 1 | 2 | 11:5 | 16 |
| 3 | არსენალი | 17 | 8 | 5 | 4 | 27:13 | 29 | 4 | 4 | 0 | 16:4 | 16 | 4 | 1 | 4 | 11:9 | 13 |
| 4 | პორტსმუთი | 17 | 8 | 4 | 5 | 23:14 | 28 | 6 | 2 | 1 | 16:6 | 20 | 2 | 2 | 4 | 7:8 | 8 |
| 5 | ლივერპული | 17 | 8 | 4 | 5 | 23:15 | 28 | 7 | 2 | 0 | 18:3 | 23 | 1 | 2 | 5 | 5:12 | 5 |
| 6 | ბოლტონი | 17 | 8 | 3 | 6 | 19:15 | 27 | 5 | 1 | 3 | 12:7 | 16 | 3 | 2 | 3 | 7:8 | 11 |
| 7 | რედინგი | 17 | 8 | 2 | 7 | 19:21 | 26 | 5 | 1 | 2 | 11:9 | 16 | 3 | 1 | 5 | 8:12 | 10 |
| 8 | ასტონ ვილა | 17 | 5 | 10 | 2 | 21:17 | 25 | 4 | 3 | 1 | 12:7 | 15 | 1 | 7 | 1 | 9:10 | 10 |
| 9 | ტოტენჰემი | 17 | 7 | 4 | 6 | 20:21 | 25 | 7 | 1 | 1 | 17:7 | 22 | 0 | 3 | 5 | 3:14 | 3 |
| 10 | ევერტონი | 17 | 6 | 6 | 5 | 20:17 | 24 | 5 | 2 | 1 | 13:5 | 17 | 1 | 4 | 4 | 7:12 | 7 |
| 11 | უიგანი | 17 | 6 | 4 | 7 | 20:22 | 22 | 3 | 2 | 3 | 10:11 | 11 | 3 | 2 | 4 | 10:11 | 11 |
| 12 | სიტი | 17 | 5 | 5 | 7 | 14:20 | 20 | 4 | 4 | 0 | 7:1 | 16 | 1 | 1 | 7 | 7:19 | 4 |
| 13 | ფულემი | 17 | 5 | 5 | 7 | 16:27 | 20 | 4 | 1 | 3 | 7:7 | 13 | 1 | 4 | 4 | 9:20 | 7 |
| 14 | ნიუკასლი | 17 | 5 | 4 | 8 | 15:19 | 19 | 3 | 2 | 3 | 9:9 | 11 | 2 | 2 | 5 | 6:10 | 8 |
| 15 | მიდლსბრო | 17 | 4 | 5 | 8 | 14:22 | 17 | 4 | 2 | 3 | 8:10 | 14 | 0 | 3 | 5 | 6:12 | 3 |
| 16 | შეფილდი | 17 | 4 | 5 | 8 | 13:22 | 17 | 2 | 4 | 3 | 11:13 | 10 | 2 | 1 | 5 | 2:9 | 7 |
| 17 | ბლექბერნი | 16 | 4 | 4 | 8 | 14:21 | 16 | 3 | 2 | 4 | 11:12 | 11 | 1 | 2 | 4 | 3:9 | 5 |
| 18 | ვესტ ჰემი | 17 | 4 | 2 | 11 | 10:24 | 14 | 4 | 1 | 3 | 8:8 | 13 | 0 | 1 | 8 | 2:16 | 1 |
| 19 | ჩარლტონი | 17 | 3 | 3 | 11 | 13:28 | 12 | 3 | 2 | 3 | 6:7 | 11 | 0 | 1 | 8 | 7:21 | 1 |
| 20 | უოტფორდი | 16 | 1 | 8 | 7 | 10:20 | 11 | 1 | 5 | 2 | 7:7 | 8 | 0 | 3 | 5 | 3:13 | 3 |

# ულაპარაკოდ ცდებით




„ლივერპულს“ „ლივორნოს“ მეკარის მარკო ამელიას ყიდვა სურს. ამელია იტალიის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონატზე გახლდათ და მართალია, არ უთამაშია, მსოფლიოს ჩემპიონის მედალი მიიღო.

ბოლო პერიოდში მასზე ამბობდნენ, რომ „მილანში“ გადადიოდა. მოგეხსენებათ, „მილანს“ დიდა დაუშავდა და მისი სრულფასოვანი შემცვლელი არ ჰყავს. ჟელკო კალაჩი აშკარად ვერ ართმევს თავს ამოცანას, ასე რომ, ამელიას ყიდვა შავ-წითლებისთვის მისწრება იქნებოდა, მაგრამ „ლივორნოს“ პრეზიდენტმა ალდო სპინიელიმ განაცხადა, რომ მის მეკარეს პრემიერლიგიდან ეპატიჟებიან.

„ჩემი კლიენტით ყველაზე მეტად „მილანი“ კი არა, „ლივერპულია“ დაინტერესებული — განაცხადა რადიოინტერვიუში ფეხბურთელის აგენტმა კარლო პალავიჩინომ — სწორედ ამ გუნდმა შემოგვთავაზა ყველაზე საინტერესო პირობები და რაც მთავარია, ახლავე, იანვარშივე უნდა ამელიას ყიდვა. რაც შეეხება „მილანს“, მასთან ჩვენ არანაირი კონტაქტი არ გვქონია, რაც უცნაურია, რადგან თუ „შავ-წითლები“ ფიქრობენ, რომ ბოლოწამს ჩაერთვებიან საქმეში და წინასწარი მოლაპარაკების გარეშე გაიმარჯვებენ, ცდებიან“.

**პაპუნა ქედია**

# იანვრის თასი

**იტალიის** ფეხბურთის ლიგამ [illegible] თასის მეოთხედფინალში გასული გუნდების [illegible] და მატჩების განრიგი გამოაქვეყნა. პირველი შეხვედრები 10 იანვარს გაიმართება, ხოლო საპასუხოები ერთი კვირის მერე.

მილანის „ინტერი“, რომელსაც შანსი აქვს, „კოპა იტალია“ ზედიზედ მესამედ მოიგოს, 10 იანვარს „ემპოლის“ ეწვევა, ხოლო 17-ში ტოსკანელებს უმასპინძლებს. ამ წყვილის გამარჯვებული „სამპდორია“-„კიევოს“ ორრაუნდიან ბრძოლაში უფრო ძლიერს შეებმება. პირველი შეხვედრა გენუაში ჩატარდება.

„სან სიროზე“ „მილანისა“ და გათამაშებაში შემორჩენილ სერია B-ს ერთადერთ წარმომადგენელ „არეცოს“ შორის პირველი მატჩი გაიმართება. მათ შორის მოგებული ნახევარფინალში „რომა“ — „პარმას“ წყვილში გამარჯვებულს ხვდება, რომლებიც ურთიერთობას „სტადიო ოლიმპიკოზე“ გაარკვევენ.

ნახევარფინალები 24 და 31 იანვარს ჩატარდება, ხოლო ფინალი, რომელიც იტალიაში ასევე ორმატჩიანია, 18 აპრილს და 9 მაისს გაიმართება. იტალიის ფეხბურთის ლიგა ამჟამად ტელეტრანსლაციებთან დაკავშირებით RAI-სთან მოლაპარაკებებს აწარმოებს და გამორიცხული არ არის, ამ კალენდარში გარკვეული ცვლილებები მოხდეს. წესით, ეს უახლოეს დღეებში უნდა გაირკვეს.

| XV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| დეპორტივო | : | ბილბაო |
| მალიორკა | : | რასინგი |
| სარაგოსა | : | ვალენსია |
| **ხვალ** | | |
| უელვა | : | სევილია |
| ესპანიოლი | : | რეალი |
| ატლეტიკო | : | ხეტაფე |
| ბეტისი | : | ბარსელონა |
| სოსიედადი | : | ხიმნასტიკი |
| ლევანტე | : | სელტა |
| ვილიარეალი | : | ოსასუნა |

# ესპანეთი

# სოსიედადი ერთადერთი ნულია

**პრიმერადივიზიონის** მეთხუთმეტე ტურში „მალიორკა“ შინაურ „ონო ესტადიზე“ „რასინგს“ მიიღებს. გრეგორიო მანსანოს კუნძულელებმა წინა მატჩი „ოსასუნასთან“ დათმეს და სეგუნდადივიზიონში გასავარდნ ადგილებს მიუახლოვდნენ. „რასინგსაც“ ზურგზე წაგება აქვს აკიდებული, კანტაბრიელები გასულ ტურში „სარაგოსასთან“ დამარცხდნენ. ორივე გუნდი სეგუნდას უფსკრულთან დგას და „ონო ესტადიზე“ გამართული შეხვედრაც წესით, დაძაბული უნდა გამოდგეს. „მალიორკას“ დაჯარიმებული მაქსი ლოპესი არ ეყოლება, ხოლო მიგელ ანხელ პორტუგალის გუნდს სანქციამოხდილი ჟიგიჩი და მუნიტისი დაუბრუნდებიან.

გალისიაში დღეს საომრად ბასკები ჩადიან. „დეპორტივოს“ მწვრთნელი კაპაროსი შეგირდთა მიერ მიღწეული შედეგით უკმაყოფილოა და „ბილბაოს“ წინააღმდეგ სავარაუდოდ ცვლილებებს მიმართავს. ადგილობრივებს სანქცირებული ლოპო და ტრავმირებული დუშერი გამოაკლდებიან. „ბილბაო“ კი მძიმე დღეშია. ბასკებმა გასულ ტურში „უელვა“ დაამარცხეს, მაგრამ მათ მწვრთნელ ულვაშა მანეს მშვენივრად მოეხსენება, რომ კრიზისიდან და სეგუნდაში გავარდნის საფრთხიდან თავის დაღწევას იოლად ვერ მოახერხებს.

„სარაგოსას“ „ვალენსიასთან“ ჯახის წინ სელადესი გამოუჯანმრთელდა, ხოლო „ლამურათა“ ლაზარეთიდან მიგელი და ფერნანდო მორიენტესი გამოვიდნენ. „ვალენსია“ არაგონელებს ხალისიან გუნებაზე სტუმრობს, კიკე ფლორესის ბიჭებმა მეთოთხმეტე ტურში „დეპორი“ 4:0 გაანადგურეს.

„ანოეტაზე“ გაჭირვებულთა შერკინება გაიმართება — კვირას პრიმერას წყალწაღებულ „სოსიედადს“ ცხრილში გვერდით მდგომი „ხიმნასტიკი“ მოინახულებს. ესპანურმა გაზეთებმა „სოსიედადის“ საცოდავ რეკორდებზე უკვე ხელი ჩაიქნიეს, აღარ ახსენებენ, თუმცა ჩვენ მაინც აღვნიშნავთ, რომ ლოტინას გუნდი მთელ პრიმერა და სეგუნდა დივიზიონებში ერთადერთია, რომელსაც ამ სეზონში გამარჯვების გემო არ უნახავს და მოგების გრაფაში ნული უწერია. „ხიმნასტიკმა“ კი წინა ტურში „ლევანტეს“ მოუგო.

„ხიმნასტიკთან“ პირშერცხვენილი ლევანტელები „ატლეტიკოსთანაც“ წახდნენ — აგირეს გუნდმა რამდენიმე დღის წინ „ლევანტე“ კოპა დელ რეის ტურნირიდან დაითხოვა. ხვალ „ლევანტე“ „სელტას“ სანქცირებული კამაჩოს გარეშე დაუხვდება. „სელტამ“ კი უეფას მეთექვსმეტედფინალში გასვლა გაინაღდა და ახლა საპრიმერო ომებზე იფიქრებს.

| 20:00 | 231 | პორტიმონენსე-ჟილ ვისენტე | 2.60 | 3.10 | 2.40 | 1.41 | 1.24 | 1.35 |
| 19:30 | 232 | რიუ ავე-ოლიანენსე | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |
| 20:00 | 233 | სანტა კლარა-შავეში | 1.30 | 4.30 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.79 |
| 19:00 | 234 | ტროფენსე-ვიზელა | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **16 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 235 | ატრომიტოსი-არისი | 2.20 | 2.90 | 3.30 | 1.25 | 1.32 | 1.54 |
| 21:00 | 236 | ირაკლისი-ქსანთი | 2.30 | 2.90 | 3.10 | 1.28 | 1.32 | 1.49 |
| 21:00 | 242 | ოლიმპიაკოსი-იონიკოსი | 1.10 | 7.00 | 18.00 | 1.00 | 1.03 | 5.03 |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 237 | ეგალეო-ერგოტელისი | 1.70 | 3.20 | 4.90 | 1.11 | 1.26 | 1.93 |
| 17:00 | 238 | ოლიმპია-კალამარია | 1.75 | 3.20 | 4.80 | 1.13 | 1.28 | 1.91 |
| 18:45 | 239 | კერკირა-პანათინაიკოსი | 7.70 | 3.80 | 1.40 | 2.54 | 1.18 | 1.02 |
| 19:00 | 240 | ოფი-პაოკი | 2.40 | 2.90 | 2.90 | 1.31 | 1.31 | 1.45 |
| 21:00 | 241 | აეკ-პანიონიოსი | 1.25 | 4.80 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.34 |
| | | **თურქეთი. თასი** | | | | | | |
| | | **16 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 269 | გალათასარაი-კაისერი | 1.34 | 4.20 | 7.00 | 1.01 | 1.12 | 2.62 |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 268 | ბეშიქთაში-რიზე | 1.33 | 4.40 | 7.50 | 1.02 | 1.12 | 2.77 |
| | | **კალათბურთი. იტალია** | | | | | | |
| | | **16 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 556 | ტერამო-სკაფატი | 1.35 | 12.00 | 2.80 | 1.21 | 1.00 | 2.27 |
| 23:30 | 557 | ბენეტონი-ორლანდო | 1.15 | 12.00 | 5.00 | 1.04 | 1.00 | 3.52 |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 558 | უდინე-სიენა | 2.25 | 12.00 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.37 |
| 21:15 | 559 | ვარეზე-ლივორნო | 1.20 | 12.00 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 21:15 | 560 | ვ.ბოლონია-მონტეგრანარო | 1.20 | 12.00 | 4.30 | 1.09 | 1.00 | 3.16 |
| 21:15 | 561 | ბიპოპი-ბოლონია | 2.20 | 12.00 | 1.55 | 1.85 | 1.00 | 1.37 |
| 21:15 | 562 | რომა-კანტუ | 1.25 | 12.00 | 3.50 | 1.13 | 1.00 | 2.70 |
| 21:15 | 563 | აველინო-მილანი | 2.50 | 12.00 | 1.45 | 2.06 | 1.00 | 1.29 |
| 23:30 | 564 | ბიელა-ნაპოლი | 1.70 | 12.00 | 2.00 | 1.48 | 1.00 | 1.71 |
| | | **კალათბურთი. ესპანეთი** | | | | | | |
| | | **16 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 565 | ტაუ-ესტუდიანტესი | 1.15 | 12.00 | 5.00 | 1.04 | 1.00 | 3.52 |
| 22:00 | 566 | უნიკახა-ხუვენტუდი | 2.00 | 12.00 | 1.55 | 1.71 | 1.00 | 1.37 |
| 22:30 | 567 | მენორკა-ბრუესა | 1.55 | 12.00 | 2.20 | 1.37 | 1.00 | 1.85 |
| 22:30 | 568 | ვალენსია-ვალიადოლიდი | 1.20 | 12.00 | 4.20 | 1.09 | 1.00 | 3.11 |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 15:30 | 569 | ბარსელონა-ბილბაო | 1.08 | 12.00 | 6.50 | 1.00 | 1.00 | 4.21 |
| 15:30 | 570 | რეალი-ალიკანტე | 1.05 | 12.00 | 7.00 | 1.00 | 1.00 | 4.12 |
| 15:30 | 571 | მურსია-გრანადა | 1.35 | 12.00 | 2.80 | 1.21 | 1.00 | 2.27 |
| 15:30 | 572 | სან ფერნანდო-ხირონა | 1.70 | 12.00 | 1.95 | 1.48 | 1.00 | 1.67 |
| 15:30 | 573 | ფუენლაბრადა-უნიკახა | 2.00 | 12.00 | 1.60 | 1.71 | 1.00 | 1.41 |
| | | **კალათბურთი. საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **16 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 574 | მაკედონიკოსი-აპოლონი | 2.35 | 12.00 | 1.50 | 1.96 | 1.00 | 1.33 |
| 22:00 | 575 | არისი-აელ | 1.07 | 12.00 | 6.10 | 1.00 | 1.00 | 4.04 |
| 19:00 | 576 | აეკ-პაოკი | 2.00 | 12.00 | 1.65 | 1.71 | 1.00 | 1.45 |
| 19:00 | 577 | აეკ-ეგალეო | 1.10 | 12.00 | 5.50 | 1.00 | 1.00 | [illegible] |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 578 | პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი | 2.40 | 12.00 | 1.40 | 2.00 | 1.00 | 1.25 |
| 19:00 | 579 | ოლიმპია-პანელინიოსი | 1.45 | 12.00 | 2.35 | 1.29 | 1.00 | 1.96 |
| 21:00 | 580 | მარუსი-პანათინაიკოსი | 7.00 | 12.00 | 1.07 | 4.42 | 1.00 | 1.00 |
| | | **ხელბურთი ქალები ეჩ 2006 შვედეთი** | | | | | | |
| | | **16 დეკემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 440 | ნორვეგია-საფრანგეთი | 1.11 | 10.00 | 7.00 | 1.00 | 1.00 | 4.11 |
| 20:00 | 441 | რუსეთი-გერმანია | 1.20 | 11.00 | 4.50 | 1.08 | 1.00 | 3.19 |
| 14:00 | 442 | უნგრეთი-შვედეთი | 1.40 | 8.50 | 3.00 | 1.20 | 1.00 | 2.21 |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15006 | ჩარლტონი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ნიუკასლი-უოტფორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | არსენალი-პორტსმუთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | რედინგი-ბლეკბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | უიგანი-შეფილდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | ასტონ ვილა-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | ევერტონი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | სიტი-ტოტენჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15014 | ვესტ ჰემი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15016 | ფულემი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15041 | ფოლკირკი-ჰიბერნიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15042 | ჰარტსი-აბერდინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15043 | ინვერნესი-კილმარნოკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15044 | მაზერველი-დანდი იუნაიტედი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15045 | სტ.მირენი-დანფერმლაინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15046 | რეინჯერსი-სელტიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15063 | ალემანია-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15064 | არმინია-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15066 | კოტბუსი -შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15068 | ჰერტა-აინტრახტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15069 | მაინცი-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15071 | ნიურნბერგი-ჰანოვერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15072 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15073 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15085 | უდინეზე-კალიარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15086 | ფიორენტინა-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15087 | ასკოლი-ტორინო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15089 | კატანია-ემპოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15090 | ინტერი-მესინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15092 | ლივორნო-ლაციო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15093 | პარმა-კიევო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15094 | რეჯინა-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15095 | სიენა-ატალანტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15096 | რომა-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15140 | ატლეტიკო-ხეტაფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15143 | ესპანიოლი-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15145 | დეპორტივო-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15146 | ლევანტე-სელტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15147 | მალიორკა-რასინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15148 | უელვა-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15149 | სოსიედადი-ტარაგონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15151 | ვილიარეალი-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15152 | სარაგოსა-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15164 | ლე მანი-ტულუზი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15165 | მონაკო-სოშო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15167 | ნანსი-მარსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15168 | ნანტი-ბორდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15169 | პსჟ-ნიცა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15170 | რენი-ტროია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15172 | სედანი-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15174 | სტ.ეტიენი-ვალენსიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15176 | ოსერი-ლორიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15177 | ლანსი-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16006 | ჩარლტონი-ლივერპული | 4.00 | 1.15 |
| 16007 | ნიუკასლი-უოტფორდი | 1.15 | 4.10 |
| 16008 | არსენალი-პორტსმუთი | 1.08 | 5.80 |
| 16009 | რედინგი-ბლეკბერნი | 1.35 | 2.75 |
| 16010 | უიგანი-შეფილდი | 1.32 | 2.90 |
| 16011 | ასტონ ვილა-ბოლტონი | 1.56 | 2.20 |
| 16012 | ევერტონი-ჩელსი | 4.80 | 1.12 |
| 16013 | სიტი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 16014 | ვესტ ჰემი-მანჩესტერი | 5.30 | 1.08 |
| 16016 | ფულემი-მიდლსბრო | 1.45 | 2.30 |
| 16041 | ფოლკირკი-ჰიბერნიანი | 1.90 | 1.60 |
| 16042 | ჰარტსი-აბერდინი | 1.35 | 2.60 |
| 16043 | ინვერნესი-კილმარნოკი | 1.60 | 1.90 |
| 16044 | მაზერველი-დანდი იუნაიტედი | 1.45 | 2.30 |
| 16045 | სტ.მირენი-დანფერმლაინი | 1.30 | 2.60 |
| 16046 | რეინჯერსი-სელტიკი | 1.80 | 1.80 |
| 16063 | ალემანია-ჰამბურგი | 1.80 | 1.80 |
| 16064 | არმინია-შალკე | 2.25 | 1.50 |
| 16066 | კოტბუსი -შტუტგარტი | 2.30 | 1.48 |
| 16068 | ჰერტა-აინტრახტი | 1.22 | 3.50 |
| 16069 | მაინცი-ბაიერნი | 4.20 | 1.15 |
| 16071 | ნიურნბერგი-ჰანოვერი | 1.42 | 2.50 |
| 16072 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 1.52 | 2.20 |
| 16073 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 1.05 | 6.00 |
| 16085 | უდინეზე-კალიარი | 1.35 | 2.70 |
| 16086 | ფიორენტინა-მილანი | 1.60 | 1.95 |
| 16087 | ასკოლი-ტორინო | 1.90 | 1.70 |
| 16089 | კატანია-ემპოლი | 1.42 | 2.50 |
| 16092 | ლივორნო-ლაციო | 1.75 | 1.90 |
| 16093 | პარმა-კიევო | 1.48 | 2.25 |
| 16094 | რეჯინა-სამპდორია | 1.52 | 2.30 |
| 16095 | სიენა-ატალანტა | 1.55 | 2.20 |
| 16096 | რომა-პალერმო | 1.35 | 2.80 |
| 16140 | ატლეტიკო-ხეტაფე | 1.23 | 3.30 |
| 16143 | ესპანიოლი-რეალი | 2.60 | 1.35 |
| 16145 | დეპორტივო-ბილბაო | 1.40 | 2.50 |
| 16146 | ლევანტე-სელტა | 1.75 | 1.85 |
| 16147 | მალიორკა-რასინგი | 1.45 | 2.35 |
| 16148 | უელვა-სევილია | 2.35 | 1.45 |
| 16149 | სოსიედადი-ტარაგონა | 1.35 | 2.75 |
| 16151 | ვილიარეალი-ოსასუნა | 1.27 | 3.20 |
| 16152 | სარაგოსა-ვალენსია | 1.65 | 2.00 |
| 16164 | ლე მანი-ტულუზი | 1.50 | 2.25 |
| 16165 | მონაკო-სოშო | 1.52 | 2.20 |
| 16167 | ნანსი-მარსელი | 1.52 | 2.20 |
| 16168 | ნანტი-ბორდო | 1.80 | 1.80 |
| 16169 | პსჟ-ნიცა | 1.25 | 3.40 |
| 16170 | რენი-ტროია | 1.17 | 3.95 |
| 16172 | სედანი-ლიონი | 2.50 | 1.42 |
| 16174 | სტ.ეტიენი-ვალენსიენი | 1.12 | 5.00 |
| 16176 | ოსერი-ლორიანი | 1.35 | 2.80 |
| 16177 | ლანსი-ლილი | 2.40 | 1.43 |

## გოლი: წყვილი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17006 | ჩარლტონი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ნიუკასლი-უოტფორდი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | არსენალი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | რედინგი-ბლეკბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | უიგანი-შეფილდი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | ასტონ ვილა-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | ევერტონი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | სიტი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17014 | ვესტ ჰემი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17016 | ფულემი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17041 | ფოლკირკი-ჰიბერნიანი | 1.85 | 1.95 |
| 17042 | ჰარტსი-აბერდინი | 1.85 | 1.95 |
| 17043 | ინვერნესი-კილმარნოკი | 1.85 | 1.95 |
| 17044 | მაზერველი-დანდი იუნაიტედი | 1.85 | 1.95 |
| 17045 | სტ.მირენი-დანფერმლაინი | 1.85 | 1.95 |
| 17046 | რეინჯერსი-სელტიკი | 1.85 | 1.95 |
| 17063 | ალემანია-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17064 | არმინია-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17066 | კოტბუსი -შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17068 | ჰერტა-აინტრახტი | 1.85 | 1.95 |
| 17069 | მაინცი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17071 | ნიურნბერგი-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17072 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17073 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17085 | უდინეზე-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17086 | ფიორენტინა-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17087 | ასკოლი-ტორინო | 1.85 | 1.95 |
| 17089 | კატანია-ემპოლი | 1.85 | 1.95 |
| 17090 | ინტერი-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17092 | ლივორნო-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17093 | პარმა-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17094 | რეჯინა-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17095 | სიენა-ატალანტა | 1.85 | 1.95 |
| 17096 | რომა-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17140 | ატლეტიკო-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17143 | ესპანიოლი-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17145 | დეპორტივო-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17146 | ლევანტე-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17147 | მალიორკა-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17148 | უელვა-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17149 | სოსიედადი-ტარაგონა | 1.85 | 1.95 |
| 17151 | ვილიარეალი-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17152 | სარაგოსა-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17164 | ლე მანი-ტულუზი | 1.85 | 1.95 |
| 17165 | მონაკო-სოშო | 1.85 | 1.95 |
| 17167 | ნანსი-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 17168 | ნანტი-ბორდო | 1.85 | 1.95 |
| 17169 | პსჟ-ნიცა | 1.85 | 1.95 |
| 17170 | რენი-ტროია | 1.85 | 1.95 |
| 17172 | სედანი-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17174 | სტ.ეტიენი-ვალენსიენი | 1.85 | 1.95 |
| 17176 | ოსერი-ლორიანი | 1.85 | 1.95 |
| 17177 | ლანსი-ლილი | 1.85 | 1.95 |



# ევროპამდე კენჭისყრაა, კენჭისყრამდე უკრაინა

დღეს საქართველოს წყალბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები უკრაინაში გაემგზავრება, სადაც ამ ქვეყნის ღია პირველობაში მიიღებს მონაწილეობას.

წყალბურთელები უკრაინაში წასვლამდე ტექნიკური ინსტიტუტის აუზში ვარჯიშობდნენ, რომელიც საწყალოსნო სახეობათა ფედერაციას 15-წლიანი იჯარით გადაეცა. მართალია, ეს აუზი სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ პირობები ნამდვილად ნორმალურია. წყალბურთელებს იანვარში კენჭისყრა ელით, რომელმაც მათი მეტოქეები უნდა გაარკვიოს ევრო 2007-ის შესარჩევ ეტაპზე. ჩვენები **B** ჯგუფში მოხვდნენ, სადაც შედარებით დაბალი რეიტინგის გუნდები არიან. საბოლოოდ 36 გუნდიდან ფინალურ ეტაპზე 6 გადის. მათ განთესილი გუნდებიც დაემატებიან და ევროპირველობას გაითამაშებენ.

მოკლედ, სასაუბრო ბევრი დაგროვდა და ჩვენც ნაკრების თავკაც სოსო მაისურაძეს ჩამოვართვით ინტერვიუ

— უკრაინაში მხოლოდ 9 მოთამაშეს ვიახლებთ. მეტის წაყვანა უფულობის გამო ვერ ხერხდება. ტურნირში მონაწილეობისთვის 1500 დოლარი გადავიხადეთ. ამას ლეგიონერთა ჩამოყვანისთვის გაღებული თანხაც დაემატა და საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ასე რომ, ამ ეტაპზე 9 მოთამაშით მოგვიწევს ფონს გასვლა.

მეტოქეებიც რთული გვყავს — მარიუპოლის პირველი და მეორე გუნდები, ბელარუსის ნაკრები და ხარკოვი. მთავარი ბრძოლა მაინც ბელარუსთან გველის, რადგან დაახლოებით ერთი დონის გუნდები გვყავს.

— წყალბურთელებს შეთამაშების მხრივ ყოველთვის პრობლემები ჰქონდათ, რადგან ძირითადი ბირთვი ლეგიონერებისგან შედგება და მთელ ევროპაში არიან გაფანტულნი. ახლა როგორი მდგომარეობაა?

— ეს პრობლემა ისევ რჩება. პირველ თამაშამდე ერთად ვარჯიშისთვის ერთი არასრული დღე გვრჩება, რაც ძალიან ცოტაა. ბიჭებს ნაკრებში პოზიციების შეცვლაც უწევთ, ეს კი დამატებით პრობლემებს გვიქმნის. თბილისიდან მხოლოდ სამი წყალბურთელი მიგვყავს — სანდრო რუსიშვილი, ბექა ქენქაძე და ზურა რურუა, დანარჩენები იქ შემოგვიერთდებიან. ბიჭებს ადაპტაციისთვის ძალიან ცოტა დრო რჩებათ.

— ევრო 2007-ის შესარჩევის კენჭისყრა იანვარშია. მანამდე თანხმობა უნდა მიგეცათ საერთაშორისო ფედერაციისთვის, კენჭისყრაში მონაწილეობა რომ მიგეღოთ. ამ მხრივ რა მდგომარეობაა?

— თითქმის გადაწყვეტილია, რომ კენჭისყრაში მონაწილეობაზე თანხმობას მივცემთ. საჭირო იყო ფინანსური გარანტიები, რადგან თუ შემდეგ მონაწილეობას ვერ მივიღებთ შესარჩევის თამაშებში, საკმაოდ სოლიდური ჯარიმა გველის. მაგრამ იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. შესარჩევში მონაწილეობა კი კარგი გამოცდა იქნება ჩვენი ბიჭებისთვის. ისინი უკვე იმ ასაკში არიან, რომ ასეთი მაღალი დონის ტურნირებში მიიღონ მონაწილეობა. თუ წარმატებას ვერ მივაღწევთ და დასკვნით ეტაპზე ვერ გავალთ, უდიდეს გამოცდილებას მაინც შევიძენთ. თამაშები ხომ ევროპის ქვეყნების ეროვნულ ნაკრებებთან უნდა გავმართოთ.

— თბილისის მერიაში მომხდარი ცვლილებები თქვენზე როგორ აისახება. რეფორმა ხომ სპორტის საქალაქო სამსახურსაც შეეხო.

— იმედი მაქვს, კარგად. აქამდე შეძლებისდაგვარად გვეხმარებოდნენ და არც ახლა უნდა დაგვტოვონ უყურადღებოდ. განსაკუთრებით კი გიორგი უდესიანი გვიდგას მხარში, რომელიც ყველანაირად ცდილობს ჩვენს დახმარებას. საერთოდ კი საუბარია, რომ მომავალი წლიდან შეიძლება თვითდაფინანსებაზე მოგვიწიოს გადასვლა, რაც კიდევ უფრო გაგვირთულებს მდგომარეობას.

— დაბოლოს, რას ელით უკრაინის ღია პირველობისგან?

— ამ ეტაპზე მთავარი მონაწილეობაა. მეორე ტურს, რომელიც 18 თებერვალს გაიმართება, უფრო მომზადებულები შევხვდებით. შემადგენლობაც სრული გვეყოლება და იმედი მაქვს, წარმატებით გამოვალთ.

**ლექსო მაისურაძე**



# ქართული წერტილი

## პეკინის აღმართი ვერის უბნიდან იწყება

ხვალ-ზეგ ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში ტატამები გაიშლება და ძიუდოში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება. 2006 წლის ამ ბოლო შიდა ტურნირით, ფაქტობრივად, მომავალი სეზონიც იხსნება. პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო შეჯიბრებაზე ჩასატარებელი შემადგენლობა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა აქედანვე უნდა შეარჩიოს. ამიტომაცაა, რომ საქართველოს ჩემპიონატზე საჭიდაოდ ლამის ყველა უძლიერესი ქართველი ძიუდოისტი გულმოდგინედ ემზადება. მოახლოებულ ტურნირს გუშინ ძიუდოს ფედერაციაში სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნეს. გენერალურმა მდივანმა ანზორ მარტყოფლიშვილმა და აღმასრულებელმა მდივანმა ზურაბ უსუფაშვილმა, ძირითადად, საორგანიზაციო საკითხებზე ისაუბრეს. ნაკრების თავკაცი შოთა ხაბარელი კი, ცხადია, სხვა საკითხებსაც გადასწვდა...

„გუნდის დასაკომპლექტებლად საქართველოს ჩემპიონატს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ახლა კი მართლა განსაკუთრებული დატვირთვა ექნება — განაცხადა ხაბარელმა — წინ უმძიმესი სეზონი გველის. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპონატებსა და პეკინის სალიცენზიო ტურნირებზე წასაყვან შემადგენლობაში მოსახვედრად ნაკრების წევრებმა და კანდიდატებმა თავიანთი შესაძლებლობები მაქსიმალურად უნდა დაამტკიცონ. პირველი და მთავარი გამოცდა საქართველოს პირველობა იქნება. სწორედ მის ჩემპიონ-პრიზიორებზე გავაკეთებთ აქცენტს. საუკეთესო ოთხეულები ავტომატურად თბილისის საერთაშორისო ტურნირზე მონაწილეობის უფლებასაც მიიღებენ."





ჩემპიონატის მთავარი ინტრიგა ზურაბ ზვიადაურისა და ირაკლი ცირეკიძის დაპირისპირებაა

კვირას ტატამი საწყისი სამი წონის (60 კგ, 66 კგ, 73 კგ) წარმომადგენლებს დაეთმობათ. მომდევნო ოთხი (81 კგ, 90 კგ, 100 კგ, +100 კგ) კი საჭიდაოდ ორშაბათს გავა. ორგანიზატორებს ტურნირის მონაწილეთა სია წონების მიხედვით აქედანვე გაუმზადებიათ. თან რაოდენობაც შეუზღუდავთ, შარშანდელი პრეცედენტი რომ არ განმეორდეს. უსუფაშვილის თქმით, წინა ჩემპიონატზე ყველამ იჭიდავა, ვინც კი ტატამზე გასვლის სურვილი გამოთქვა. ჯამში 350-ზე მეტი მონაწილე მოგროვდა და ფინალები ღამის პირველ საათზე ჩატარდა. „ამჯერად ფედერაციამ გადაწყვიტა, თითოეულ წონაში მაქსიმუმ 32 ძიუდოისტი დაუშვას. ეს ადგილები კი რეგიონებზე გადავანაწილეთ" — დასძინა მარტყოფლიშვილმა.

ამჯერად თითოეულ წონაში ყველაზე მეტი, ოთხ-ოთხი წარმომადგენელი ეყოლება თბილისს, კახეთს, ქვემო ქართლს, შიდა ქართლს და იმერეთს, უმცა უმსუბუქეს და უმძიმეს წონებში, ალბათ, ქვოტების დათვალ საჭირო არ გახდება — სავარაუდოდ, ოთდათორმეტი მონაწილე ვერ შეგროვდება. ტურნირის მთავარი მსაჯი შოთა ჩოჩიშვილი იქნება. დარბაზში მოხვედრა კი ნებისმიერ მსურველს უფასოდ შეეძლება. პირველი შეხვედრები დილის თერთმეტი საათიდან დაიწყება, ფინალები — ექვსიდან.



შოთა ხაბარელი: „ჩემი სურვილი იყო, ჩემპიონატში ყველა უძლიერესს ეჭიდავა, მაგრამ დანაკლისს მაინც ვერ ავცდით. სამწუხაროდ, ტატამზე გასვლას ვერ შეძლებენ 60, 66 და 73 კილოგრამი წონების ლიდერები: ნესტორ ხერგიანი, ზაზა კედელაშვილი და დავით ქევხიშვილი. ბოლო ორს ტრავმამ შეუშალა ხელი, ხერგიანზე კი გამონაკლისი მწვრთნელებმა ერთად დავუშვით. ივი შიდა კონკურენციაში აშკარად საუკეთესოა, თან ასაკიც ისეთი აქვს, ჯობს, ამ ტურნირზე დაისვენოს. 25-26 იანვარს ჩასატარებელ თბილისის საერთაშორისო ტურნირზე კი აუცილებლად იჭიდავებს. ტრავმა უშლის ხელს მინდია ხოპიზურსაც (66 კგ), მაგრამ მისი არყოფნა თავიდანვე შეგნებულად არ ვახსენე. ამ წონაში, ფაქტობრივად, ყველაფერი აქედანვე ნათელია, ისევე, როგორც 73 კილოგრამში. თუმცა პეკინამდე დიდი დროა და იქამდე ნაკრებში ადგილი გარანტირებული ვერავის ექნება. ყველაზე მოულოდნელი და საწყენი კი მძიმეწონოსანი ზვიად ხანჯალიაშვილის გამოკლებაა. საქართველოს პირველობისთვის დიდი მონდომებით ემზადებოდა, მაგრამ ბოლო დროს ზურგს იტკივებს და ექიმებმაც გამოკვლევის შემდეგ დასვენება გამოუწერეს. არადა, მძიმე წონაში, მართლაც, უდიდესი კონკურენციაა.

-უშელავათო ბრძოლებს ველი 81, 90, 100 კილოგრამებშიც. გულშემატკივარს კი, ალბათ, ყველაზე მეტად ოლიმპიური ჩემპიონის ზურაბ ზვიადაურისა და ირაკლი ცირეკიძის დაპირისპირება აინტერესებს. თქმაც არ უნდა, დიდ სიამოვნებას მიიღებენ. მოკლედ, ვინც არ დაიზარებს და 17-18 დეკემბერს ვერის ბაღის დარბაზში მოვა, არ ინანებს."

**ოთარ მაღლაკელიძე**

# ანას ანა-ბანა ხინკალი და ხაჭაპურია



2006 წელი გარდამტეხი შეიძლება აღმოჩნდეს ანა ჩაკვეტაძის კარიერაში — ამ ქართველი წარმოშობის, მაგრამ რუსეთის სახელით მოთამაშე ჩოგბურთელმა წლეულს უდიდესი პროგრესი განიცადა და თავისი პირველი ტიტულებიც მოიხვეჭა. გარდა ამისა, ანას პირველ ათეულში შესასვლელად სულ ცოტა დააკლდა და სეზონი მე-13 ადგილზე დაასრულა. ასეთი შედეგების მერე ჩაკვეტაძე თავისთავად ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა და ლამის კვირა არ გავა, მისი ინტერვიუ რომ არ გამოჩნდეს. ამჯერად ანა „სპორტ-ექსპრესის“ ჟურნალისტის კითხვებს პასუხობს

**— წელიწადი მეცამეტე ნომრად დაამთავრეთ. ცრურწმენების გჯერათ?**

— ჩემი მიზანი მაქსიმალურად მაღალი პოზიციის დაკავება იყო. ცრურწმენები სულ არ მაინტერესებდა.

**— როგორ დაიწყო თქვენი საჩოგბურთო კარიერა?**

— 8 წლის ასაკში „დინამოს“ აკადემიაში მივედი, საიდანაც ორჯერ გამრიცხეს, ჩოგბურთის ნიჭი არ გაქვსო.

**— გული არ გაგიტყდათ?**

— ცოტა. ჩემთვის დავიწყე ვარჯიში — გამრიცხეს, მერე რა მოხდა-მეთქი. დედას უფრო დასწყდა გული.

**— პირველ ტურნირზე როდის ითამაშეთ?**

— 10 წლის ვიყავი. თუ არ ვცდები, ლეფორტოვოში ჩატარდა ტურნირი და მეჩვიდმეტე თუ მეცხრამეტე ადგილი დავიკავე.

**— ჩოგბურთით მშობლებმა დაგაინტერესეს?**

— დიდწილად. ჩოგბურთზე დედამ მიმიყვანა. მანამდე კი ფორტეპიანოზე დავდიოდი, მაგრამ არასოდეს მომწონდა ეს საქმიანობა, განსაკუთრებით ინსტრუმენტთან საათობით ჯდომა. ბოლოს ყელში ამომივიდა და მშობლებს განვუცხადე — მუსიკას თავს ვანებებ და ჩოგბურთს მივხედავ-მეთქი.

**— მამათქვენი პროფესიონალი ფეხბურთელი იყო. მან რა როლი ითამაშა თქვენს სპორტსმენად ჩამოყალიბებაში?**

— საკმაოდ ცივად შეხვდა ჩემს სპორტში წასვლას. თავიდან დედა უფრო მეხმარებოდა, მაგრამ ერთხელ მამა ჩემს ვარჯიშს დაესწრო და გადაწყვიტა, ჩემთვის პერსონალური მწვრთნელი აეყვანა.

**— ხშირად მარტინა ჰინგისს გადარებენ......**

— „კრემლის თასის“ მოგების შემდეგ ჟურანლისტები ნამეტანი მაქებენ. ჰინგისს კი იმიტომ მადარებენ, რომ როგორც ის, მეც ძლიერად ვერ ვურტყამ ბურთს. მე არ მაქვს დები უილიამსების ან ლინდსი დევენპორტის ფიზიკური მონაცემები, რის კომპენსირებასაც სისწრაფით ვცდილობ.

**— რომელ საფარს ანიჭებთ უპირატესობას?**

— ბალახი ჩემთვის ძალიან სწრაფია, თიხნარი — ნელი. აი, ჰარდზე თამაში ყველას მირჩევნია.

**— ბევრი მოგზაურობა გიწევთ. მიეჩვიეთ?**

— ყოველთვის მოსკოვში ვვარჯიშობდი და ამიტომ დიდი ხნით სახლიდან შორს ყოფნა არ მიყვარს. განსაკუთრებით ახლობლები მენატრებიან ხოლმე.

**— ტურნირებზე ხან დედა, ხან მამა მოგყვებათ. მათ რა ფუნქცია აკისრიათ?**

— უცხო გარემოში ყოველთვის ძნელია მატჩისადმი სათანადოდ განწყობა. სხვა საქმეა, როცა გვერდზე მშობელი გიდგას — ეს დიდ ფსიქოლოგიურ მუხტს მაძლევს.

**— ერთხელ დაგინახეთ, რომ ვარჯიშის შემდეგ სპარინგ-პარტნიორთან ერთად ჩოგბურთის ბურთით ფეხბურთს თამაშობდით. გეხერხებათ?**

— უმცროსი ძმა, რომა, ფეხბურთს გაჰყვა და აგარაკზე ჩემი ყოფილი კორტი ახლა ფეხბურთის მოედნად არის გადაქცეული. როცა იქ ვარ, ჩემი ძმა, მამაჩემი და მეზობლები ხშირად ვთამაშობთ. თუმც ამ ბოლო დროს მსაჯის მოვალეობას უფრო ვასრულებ — მიფრთხილდებიან, ტრავმა არ მივიღო.

**— პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობთ. რა სპეციალობაზე?**

— ფსიქოლოგი გამოვალ.

**— ხშირი მოგზაურობები გეხმარებათ განვითარებაში, თუ პირიქით, მეცადინეობაში გიშლით ხელს?**

— ეს ადამიანზე, მის გარემოცვაზეა დამოკიდებული. მაგალითად, ლენა დემენტიევას რაც გინდა, ჰკითხე, ყველაფერი იცის. მე პირადად მგონია, რომ აქეთ-იქით სიარული არც არაფერს გმატებს და არც გაკლებს. აი, მსოფლიოს კი ყველა ვარიანტში ნახავ. თუმც უფრო ხშირად კორტის გარდა ვერაფრის ნახვას ვერ ვახერხებ.

**— ადრე თქვით, რომ არც ქართული ღვინო გყვარებიათ და არც სხვანაირი. ქართულ სუფრაზე რას იტყვით?**

— ვაღმერთებ. განსაკუთრებით ხაჭაპურზე და ხინკალზე ვგიჟდები.

**— ვინ გიმზადებთ ამ კერძებს?**

— დედა.

**— მამამ ასწავლა?**

— არა, რას ამბობთ — ის სამზარეულოს არასოდეს არ ეკარება. დედას ბებიამ (მამის დედა) ასწავლა.

**— ბებიას რომ სტუმრობთ, რითი გიმასპინძლდებათ ხოლმე?**

— რა გითხრათ, ქართული სუფრა ძალიან მრავალფეროვანია და საერთოდ ქართველები ძალიან სტუმართმოყვარე ხალხია. გამასპინძლება მათთვის პრობლემა არ არის.

**— საქართველოში ნამყოფი ხართ?**

— ორჯერ — თბილისში და ბათუმში. ისიც ტურნირებზე ვიყავი.

**— ქართულად ლაპარაკობთ?**

— ძალიან ცოტას. ბაბუა მასწავლიდა, მაგრამ ახლა თითქმის დამავიწყდა.



## საქართველოს ჩემპიონატი

# აზოტი კვლავაც დაუმარცხებელია

**15 დეკემბერი**
**რუსთავი**

**აზოტი 94:81 ავიამშენი**

*29:21 26:20 22:27 17:13*

**აზოტი:** გამყრელიძე (18), ტულუში (6), გოგობერიშვილი (14), ბეჟანიშვილი (20), უგრეხელიძე (10); დიდია (11), ბოისა (8), ტუჯანი (4), მარკოიშვილი (3)

**ავიამშენი:** ი. ბერიშილი (7), ხოშტარია (12), ბარბაქაძე (4), ბაბიაშვილი (32), სუხიშვილი (6); კეიდია (20), ნიკოლაძე

*მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მალხაზ ანდღულაძე*

**ირაკლი ფირაშვილი** *რუსთავიდან*

**ჩემპიონატის** დაწყებიდან „ავიამშენი“ რუსთავის „აზოტის“ უმთავრეს და ლამის ერთადერთ რეალურ კონკურენტად მოიაზრება. თანაბარი შემადგენლობები, გამოცდილი მოთამაშეები აქეთაც და იქითაც, თანაც „ავიამშენმა“ წინა ჩემპიონატის ფინალში ხომ სწორედ „აზოტი“ დაამარცხა და ამ ყოველივეს გათვალისწინებით ეს მატჩი ტურში კი არა, მთლიანად მეორე წრეშიც ცენტრალურად ჩაითვლებოდა, მაგრამ პირველი წრის შეხვედრის დარად „ავიამ“ ვერც ამ ჯერზე გაუწია ჯეროვანი წინააღმდეგობა რუსთავულ გუნდს — „აზოტი“ კვლავ დაუმარცხებელია.

შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში დაიწყო, თითქმის ქულა ქულაში და 5 წუთის გასვლის შემდეგ რუსთავულ ტაბლოზე 14:14 ენთო, მაგრამ „ავიამ“ მალევე დაკარგა მატჩის სადავეები და მეტოქეს წინ გასვლის უფლება მისცა. სტუმრებს ამის შემდეგ აღარც მისცემიათ დაწინაურების საშუალება.

შეცვლაზე შესულმა აზოტელმა რეზო დიდიამ ორიანი და სამიანი ჩააგდო, უგრეხელიძემ და გოგობერიშვილმა კი ოთხი საჯარიმო დასტყუეს სტუმართა დაცვას და ორწუთიანი მონაკვეთის 9:0 მოგების შემდეგ მასპინძლებმა 10-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს — 27:17. „ავიამ“ პირველი მეოთხედი ოდნავ ნაკლები სხვაობით წააგო და მეორეს დასაწყისშიც მხნედ შეუტია მეტოქეს, ირაკლი კეიდიამ სამქულიანით ექვს ქულამდე შეამცირა ჩამორჩენა 29:23, ოდნავ მოგვიანებით კი გამოცდილმა ირაკლიმ ხოშტარიამ ასევე სამი ქულა გააკეთა ერთ შეტევაში და 36:30 მიაახლოვა „ავია“ მეტოქეს, მაგრამ ამაზე ახლოს კი აღარ მიუშვა „აზოტმა“. ბოისამ, მარკოიშვილმა და ბეჟანიშვილმა 7:0 „გააქციეს“ მასპინძლები და „ავიამშენი“ კვლავ ორნიშნა რიცხვით ჩამორჩა მეტოქეს.

სტუმართა თავკაცმა ლევან მოსეშვილმა მოედანზე ძირითადი გამთამაშებელი, კიდევ ერთი ირაკლი დააბრუნა, ბერიშვილი და ამან ბურთი პირველივე შეხებით პერიმეტრიდან მოათავსა კალათში — 43:33, მაგრამ გოგობერიშვილმა სამიანითვე უპასუხა, ხოლო ყოფილმა აზოტელმა ზვიად ბაბიაშვილმა შემდეგ შეტევაში 3 ქულა რომ გაახერხა, უგრეხელიძემ და ბეჟანიშვილმა სწრაფი გარღვევებით 7 უპასუხო ქულა გააკეთეს და ოპონენტი გუნდი 17 ქულით წასწიეს წინ. „აზოტი“ შეტევაში სრულად იყენებდა მრავალფეროვან არსენალს და ნებისმიერი დისტანციიდან წარმატებით უტევდა „ავიას“ ერთი შეხედვით კარგად დაცულ, მაგრამ მაინც ხელ და ბურთმისაწვდომ კალათს. მომხვდურთაგან ერთადერთი, რომელიც დამხვდურებმა ვერ შეაჩერეს, სცორედ ყოფილი მათიანი ზვიად ბაბიაშვილი იყო, რომელმაც თავისი გუნდის 81 ქულიდან 32 პირად ანგარიშზე ჩაიწერა, მაგრამ ესეც სათქმელია, რომ ძალზე ბევრი სროლა ააცილა.

„ავიამშენმა“ საერთო სურათი დიდად ვერც მეორე ტაიმში შეცვალა. ეგაა, საწყის წუთებში „აზოტმა“ უპირატესობა ორ ათეულს რომ გადააცილა და 21 ქულით დაწინაურდა, ცოტა მოეშვა, აიჩატლა და მეტოქეს არეულ თამაშში აჰყვა, რითაც „ავიამ“ მოიგო — გადარბენა-გადმოებენებში სხვაობა თანდათან გაალღო და ოდნავ შეამცირა. სტუმრებმა საბოლოომეოთხედო შტურმისთვის კარგი საფუძველი შეიქმნეს. მაგრამ შტურმი არ შედგა, მეოთხე 12-წუთეული დაიწყო თუ არა, რუსთაველმა დიდიამ სამქულიანი დასჭექა და სხვაობა აღარც ჩამოსცილებია 10 ქულას.

# ხმა მიეცით ზაზა ფაჩულიას

ნბა-ს ყველა ვარსკვლავის მატჩი მომავალი თებერვლის ბოლოს გაიმართება და მასში თამაშის შანსი „ატლანტა ჰოქსის“ ქართველ ცენტრ ზაზა ფაჩულიასაც აქვს. „ოლ სტარის“ მონაწილეებს გულშემატკივარი ირჩევს და კანდიდატთა შერჩევა უკვე დაწყებულია ნბა-ს ოფიციალურ ვებგვერდზე — **www.nba.com**

— შედით ამ ვებ-გვერდის იმ განყოფილებაში, სადაც ყველა ვარსკვლავის (**All Star**) მატჩში მონაწილეობის კანდიდატთა სრულ სიას გაეცნობით.

— სულ უნდა აირჩიოთ 10 კალათბურთელი — 5 აღმოსავლეთ კონფერენციიდან და 5 დასავლეთიდან.

— ერთი კომპიუტერიდან დღეში ერთხელ შეგიძლიათ ხმის მიცემა. გამოკითხვა გაგრძელდება 21 იანვრამდე.





# მსოფლიოს თასი. მესამე ეტაპი

## ჰოხფილცენი (ავსტრია). 13 — 17 დეკემბერი



ანა-კარინ ოლოფსონი

### ქალები

**7,5 კმ. სპრინტი (2 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1 ანა-კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | 22 წთ.06,9 წმ (0 აცდენა) |
| 2 სანდრინ ბეილი(საფრანგეთი) | +32,0 (0) |
| 3 ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | +41,6 (1) |
| 4 კატრინ ჰიტცერი (გერმანია) | +58,3 (0) |
| 5 ტედეია ბრანკოვიჩი (სლოვენია) | +59,4 (1) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1 ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | 297 |
| 2 ანა-კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | 234 |
| 3 კატი ვილჰელმი (გერმანია) | 230 |
| 4 მარტინა გლაგოვი (გერმანია) | 195 |
| 5 მაგდალენა გვიზდუნი (პოლონეთი) | 182 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროლიგა

## პირველი ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. 13-14 დეკემბერი

### A ჯგუფი

**ტაუ 89:74 ოლიმპიაკოსი**
ტაუ: ერდოგანი (24), რაკოჩევიჩი (23)
ოლიმპიაკოსი: პენი (20), ასკერი (20)

**რეინი 82:96 დინამო**
რეინი: ფეისონი (17), ნადფეი (14)
დინამო: პაპადოპულოსი (25), ჰანსენი (19)

**კლიმამიო 83:71 ლე მანი**
კლიმამიო: იდნი (20), ბლუზენტალი (20)
ლე მანი: გრეგორი (18), ნიჩევიჩი (16)

**პროკომი 74:81 ეფესი**
პროკომი: სლანინა (17), დამლა (16)
ეფესი: ჯენკისი (23), პრკაჩინი (20)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ | 8 | 7 | 1 | +65 | 15 |
| ოლიმპიაკოსი | 8 | 6 | 2 | +43 | 14 |
| დინამო | 8 | 5 | 3 | +10 | 13 |
| ეფესი | 8 | 4 | 4 | +20 | 12 |
| ლე მანი | 8 | 3 | 5 | -13 | 11 |
| პროკომი | 8 | 3 | 5 | -16 | 11 |
| კლიმამიო | 8 | 2 | 6 | -37 | 10 |
| რეინი | 8 | 2 | 6 | -72 | 10 |

### B ჯგუფი

**პარტიზანი 73:63 რომა**
პარტიზანი: დრობნიაკი (15), ტრიპკოვიჩი (14)
რომა: მავროკეფალიდისი (16), ჰოკინსი (12)

**პანათინაიკოსი 83:73 ხუვენტუდი**
პანათინაიკოსი: ბეჩიროვიჩი (18), ბატისტა (16)
ხუვენტუდი: ფერნანდესი (15), სალივანი (13)

**უნიკახა 67:83 მაკაბი**
უნიკახა: სანტიაგო (22), კაბეზსი (13)
მაკაბი: ჰალპერინი (24), იასაიტისი (17)

**ოლიმპია 92:88 ციბონა**
*ძირითადი დრო: 83:83*
ოლიმპია: რანიკო (18), მარკოიშვილი (37 წუთი, 16 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა)
ციბონა: კუში (25), კრასიჩი (17)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 8 | 8 | 0 | +92 | 16 |
| მაკაბი | 8 | 5 | 3 | +55 | 13 |
| ხუვენტუდი | 8 | 4 | 4 | +13 | 12 |
| ციბონა | 8 | 4 | 4 | -8 | 12 |
| პარტიზანი | 8 | 4 | 4 | -20 | 12 |
| უნიკახა | 8 | 3 | 5 | -21 | 11 |
| ოლიმპია | 8 | 2 | 6 | -55 | 10 |
| რომა | 8 | 2 | 6 | -56 | 10 |

### C ჯგუფი

**ცსკა 82:72 ნაპოლი**
ცსკა: სმოდიში (18), ვანტერპური (12)
ნაპოლი: ელისი (25 წუთი, 15 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი), მარანდაისი (14)

**ფენერბაჰჩე 80:86 არისი**
ფენერბაჰჩე: ქუთლუაი (22), სოლომონი (16)
არისი: ვილკინსონი (24), მესი (15)

**ბარსელონა 93:75 პო ორტეზი**
ბარსელონა: კაშუნი (29), ნავარო (13)
პო ორტეზი: მაილსი (16), იონსენი (15)

**ჟალგირისი 76:86 ბენეტონი**
ჟალგირისი: ბერდი (15), მასიულისი (14)
ბენეტონი: გორეე (20), ზისისი (16)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 8 | 7 | 1 | +93 | 15 |
| ბარსელონა | 8 | 7 | 1 | +63 | 15 |
| ბენეტონი | 8 | 5 | 3 | +33 | 13 |
| პო ორტეზი | 8 | 4 | 4 | -15 | 12 |
| არისი | 8 | 4 | 4 | -19 | 12 |
| ფენერბაჰჩე | 8 | 2 | 6 | -67 | 10 |
| ნაპოლი | 8 | 2 | 6 | -67 | 10 |
| ჟალგირისი | 8 | 1 | 7 | -50 | 9 |



მანუჩარ მარკოიშვილმა (№11) შედეგიანად ითამაშა

# ბოლოს ოლიმპიამ კუში გატეხა

**ფანტასტიკური** თამაში გაიმართა ევროლიგის გასულ ტურში და ამ ჯადოშეხვედრის მონაწილე და ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი მანუჩარ მარკოიშვილი იყო. ევროლიგის მიმდინარე სეზონს არ ახსოვს ასეთი დრამატული მატჩი — ლიუბლიანაში „ოლიმპიამ" „ციბონა" ოვერტაიმში დაამარცხა, მაგრამ ამ თამაშის ბოლოს ამბები მოხდა, ევროპის მოწონებული.

მერე რა, რომ „ოლიმპია" B ჯგუფის ფსკერზეა დალექილი — ლიუბლიანაში ეს გუნდი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძვის და ამ სეზონში წაგებული თამაშების უმეტესობა მინიმალური, 1-2-ქულიანი სხვაობით აქვს დათმობილი. „ციბონა" „ოლიმპიაზე" გაცილებით ძლიერი გუნდია, მაგრამ ლიუბლიანაში რომ ვერ გაისეირნებდა, უნდა სცოდნოდა და აკი დამარცხდა კიდეც.

სანამ მესამე მეოთხედი მოატანდა, თამაში აბსოლუტურად თანაბარი იყო, მერე კი ოლიმპიელთა გააქტიურებამ მატჩს ეშხი, დაძაბულობა და დრამატიზმი შემატა. მარკოიშვილი თავიდანვე იმყოფებოდა მოედანზე და არავიზე ნაკლებაზე არ უთამაშია. ის ჩვეულად კარგად ირჯებოდა დაცვაში და ქულებს ხომ უხვად იხვეჭდა, ფარქვეშაც გამოიდო თავი. მანუ 16 ქულით „ოლიმპიას" მეორე მექულე გახდა და თუ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, მისი 6 მოხსნა ნამდვილად გამოსარჩევია. მარკოიშვილი ძირითადად საკუთარ საჯარიმოში მარჯვობდა და შეტევებშიც წარმატებით ერთვებოდა.

ნახსენებ მესამე მეოთხედშიც ქართველ მოედანზე იყო და სწორედ მან დააგვირგვინა ლიუბლიანელთა ის გაქცევა, რომელმაც „ოლიმპიას" 15 უპასუხო ქულა მოუტანა და 55:43 გაალიდერა. მარკოიშვილმა ორქულიანს პლუს საჯარიმო ჩააგდო და მასპინძლებს საიმედო ლიდერობა დაუბევა.

გადამწყვეტი მეოთხედი ოლიმპიელთა 9-ქულიანი ლიდერობით დაიწყო, მაგრამ ხორვატმა დავორ კუშმა იმდენი მოახერხა, რომ თავადაც ჩააგდო, სხვასაც ჩააგდებინა და საფინალო სირენამდე 4 წუთი რომ რჩებოდა, „ციბონა" 80:75 დაწინაურდა.

გადამწყვეტმა წუთებმა დიდი დრამატიზმით ჩაიარა. ივიცა იურკოვიჩმა წუთიერად გაიბრწყინა და ანგარიში 28 წამით ადრე გაათანაბრა — 80:80. მერე იყო ოლიმპიელი დომენ ლორბეკის უმნიშვნელოვანესი ჩაჭრა და ის სირენამდე 6 წამით ადრე საჯარიმოს ხაზზე დადგა. ლორბეკმა ერთი ჩააგდო, თუმც აცილებული ერდენ არსლანმა მოხსნა და ხორვატები მასზეც დაჯარიმდნენ. არსლანმა ორივე ჩააგდო და სირენამდე 3 წამი რომ რჩებოდა, „ოლიმპია" 83:80 დააწინაურა.

და აქ მოხდა მცირე სასწაული — იმავ კუშმა ბურთი მიიღო და, ცხადია, სამქულიანის სასროლად გაიწია, მაგრამ არ დააცალეს და მანაც ხელის აუკანკალებლად, სირენამდე წამზე ნაკლები რომ რჩებოდა, სამივე საჯარიმო ჩააგდო.

ოვერტაიმში მოედანზე უკვე ერთი გუნდი — „ოლიმპია" იყო. მასპინძელთა 7:1 გაქცევა მანუჩარ მარკოიშვილმა წამოიწყო ორქულიანი გარღვევით და 5 წუთის თავზე ლიუბლიანას მთავარი საკალათბურთო არენა „ტივოლი" ენითაუწერელმა სიხარულმა მოიცვა.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# დიდი მინი და ბოსი დევისი

14 დეკემბერი

**გოლდენ სტეიტი 109:107 ჰიუსტონი**
გოლდენ სტეიტი: დევისი (34), ელისი (17), ბიედრინსი (15)
ჰიუსტონი: მინი (38), ჰედი (26), ალსტონი (19)

**ნიუ ორლეანი 77:103 სან სანტონიო**
ნიუ ორლეანი: ბატლერი (17), მეისონი (16)
სან ანტონიო: ჯინობილი (24), პარკერი (19)

**შარლოტი 99:89 ორლანდო**
შარლოტი: მეი (32), მორისონი (22)
ორლანდო: დულინგი (20), დინერი (16)

გუშინწინ სამად სამი მატჩი გაიმართა, მაგრამ ერთი გამოერია ისეთი, რითაც კალათბურთი ფასობს და ათასობით თვალს იზიდავს. რიგითი „შარლოტისგან" ბობოლა „ორლანდოს" ძლევას სხვა შედეგები ვერ შეედრება, მაგრამ ოკლენდში „გოლდენ სტეიტმა" და „ჰიუსტონმა" ისეთი შოუ მოაწყვეს, სანახაობრივად ათჯერ რომ ალემატებოდა დანარჩენ მატჩებს.

სირენამდე ნახევარი წუთით ადრე ჰიუსტონელები 4 ქულით იგებდნენ და ეგონათ, თავი ქუდში ჰქონდათ, მაგრამ... „ნბა ისეთია, აქ ლიდერობა პირობითია. შეიძლება ისეთი მატჩი წააგო, რომლის მოგებაშიც ასი პროცენტით ხარ დარწმუნებული" — დანანებით თქვა ნამატჩევს „როკეტსის" დიდმა ჩინელმა იაო მინმა, ვინც 38 ქულა კი დაასეტყვა ოკლენდელებს, მაგრამ ბოლო წამებზე, როცა მთელი გუნდი მას, როგორც მხსნელს, ისე უყურებდა, მასპინძელთა კალათი ვერ დალაშქრა.

იაომ ააცილა მანამდეც, სანამ სირენამდე 29 წამით ადრე მასპინძელი მაიკ დანლივი 2-ქულიანს და ჩაროზად საჯარიმოსაც ჩააგდებდა და მერეც, როცა „ჰიუსტონს" ქულიანი უპირატესობა მაინც შერჩენოდა. მინის აცილებული ბურთი ბაირონ დევისს მიუვიდა და მიუხედავად იმისა, რომ სირენამდე წამები რჩებოდა, თავქუდმოგლეჯილი არ მისძალებია ჰიუსტონელთა ფარს. ასეთ დროს, ჩვეულებრივ, თამაში წყდება, რაკი გადამწყვეტი შეტევის ორგანიზებისთვის მადევარი გუნდის მწვრთნელი წუთშესვენებას იღებს ხოლმე.. მასპინძელთა დამრიგებელ დონ ნელსონს ლიმიტი თურმე ამოწურული ჰქონდა და ბურთმოხელთებულმა დევისმა მწვრთნელს რომ გამოხედა, დონი ხელებს ასავსავებდა... გრძნეული ბაირონი არ დაიბნა, მსწრაფლ გადასერა მოედანი და რაკი დრო იწურებოდა, მეტოქის ფარისკენ სვლა შეწყვიტა, პირდაპირ სამქულიანი გატყორცნა და ჰოი, საოცრებავ.. ბურთი ჩავარდა და „გოლდენ სტეიტი" 109:107 დაწინაურდა.

„გაგვიმართლა, ბურთი რომ მას მიუვიდა. მე კი არა, ის არის ჩვენი ბოსი და ლიდერი" — აქო და ადიდა სიხარულისგან გონებაარეულმა დონ ნელსონმა ბაირონ დევისი. თავად გმირმა კი აი, რა თქვა: „თავიდან ცოტა დავიბენი, მაგრამ დროულად გავერკვიე სიტუაციაში და საქმის გამოსასწორებლად დროც მქონდა".



ბაირონ დევისის (№5) გადამწყვეტი სამქულიანი

საქმის გამოსასწორებელი დრო, ოღონდ გაცილებით მცირე, „ჰიუსტონსაც" ჰქონდა, მაგრამ იმავე მინმა ვერ იმარჯვა. 1,2 წამი ხომ ძალიან მცირე დროა, მაგრამ ტეხასელებმა 226-სანტიმეტრიან ჩინელამდე მაინც მიიტანეს ბურთი, რომელმაც საშუალო მანძილიდან ააცილა.

იაომ თამაშის დასაწყისშიც არაერთი ბურთი გააცუდა და მასზე 16 სანტიმეტრით დაბალი ენდრიუ ფოილისგან ბლოკშოტიც იგემა. ფოილი „გოლდენ სტეიტის" სათადარიგოა და მისი ხუთეულში გამოჩენა ბევრისთვის მოულოდნელი იყო. მან კი გაამართლა და სანამ ასევე ყოჩაღი ანდრის ბიედრინსი მოედანზე გამოვიდოდა, იაოს ღირსეულად ეპაექრებოდა.

დღის მთავარი მოვლენა მაინც სულ სხვაგან გამოცხვა — შარლოტში „ბობქეთსმა" აღმოსავლეთ კონფერენციის ლიდერთაგანი „ორლანდო" წამოაქცია და თან იმ იარაღით, რომლისაც თავად „ფოცხვერების" თავკაც ბერნი ბიკერსტაფსაც ნაკლებად ეიმედება.

როცა „ბობქეთსის" თავკაცი სეზონის წინ ხუთეულს აკომპლექტებდა, ცხადია, არ ფიქრობდა ორ ახალბედაზე — ალან მორისონზე და შონ მეიზე. თუმცა ეს ჯეელები ისე ათამაშდნენ, გუნდის ლიდერებად ითვლებიან. „ორლანდოსთან" ორივე სათადარიგო სკამიდან ჩაერთო თამაშში და მთლიანობაში 54 ქულა მოუხვეჭა „შარლოტს". მორისონი და მეი ისე იდგნენ „ორლანდოს" ფარქვეშ, როგორც ურყევი ორმაგი კოშკი და მასპინძლებმა რომ საამაყო გამარჯვება დააგემოვნეს, მათი დამსახურებაა.

**ირაკლი პერტაია**

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

# რახუნეკმა დალასს შურახუნა

14 დეკემბერი

**ბოსტონი 5:3 ნიუ ჯერსი**
*2:2 1:1 2:0*
1:0 ბოიესი (1), 2:0 ბერჟერონი (2), 2:1 ელიაში (14), 2:2 ლანგენბრუნერი (20), 3:2 ტენკრატი (34), 3:3 რაპი (35), 4:3 სტიუარტი (43), 5:3 ბერჟერონი (59)

**სან ხოსე 2:4 ლოს ანჯელესი**
*0:2 0:1 2:1*
0:1 კოპიტარი (6), 0:2 კოპიტარი (7), 0:3 კამალიერი (23), 0:4 არმსტრონგი (42), 1:4 ერჰოფი (59), 2:4 გრირი (37)

**მონრეალი 4:2 ტამპა**
*1:1 0:1 3:0*
1:0 შტრაიტი (9), 1:1 რიჩარდსი (14), 1:2 სენ ლუი (39), 2:2 ლაპერი (47), 3:2 კოივუ (54), 4:2 კოივუ (60)

**ნეშვილი 6:0 ოტავა**
*3:0 3:0 0:0*
1:0 ჰარტნელი (9), 2:0 ჰარტნელი (15), 3:0 რადულოვი (19), 4:0 სალივანი (26), 5:0 სალივანი (30), 6:0 სალივანი (32)

**ედმონტონი 3:1 მინესოტა**
*X0:1 0:0 3:0*
0:1 ვაიტი (4), 1:1 გრინი (44), 2:1 სტოლი (56), 3:1 ჰორკოფი (56)

**ვანკუვერი 3:1 კალგარი**
*0:0 2:1 1:0*
0:1 ლომბარდი (22), 1:1 ოლუნდი (23), 2:1 ჰ. სედინი (38), 3:1 მორისონი (49)

**ბუფალო 2:1 ფლორიდა**
*0:0 1:1 1:0*
1:0 ვანეკი (15), 1:1 შტუმპელი (28), 2:1 აფინოგენოვი (42)

**ჩიკაგო 2:3 დეტროიტი**
*0:1 1:1 1:1*
0:1 ზეტერბერგი (4), 1:1 ჰამილტონი (31), 1:2 კლირი (33), 1:3 სამუელსონი (52), 2:3 რუუტუ (54)

**დალასი 2:5 რეინჯერსი**
*1:1 0:1 1:3*
1:0 ზუბოვი (17), 1:1 რახუნეკი (18), 1:2 კალენი (21), 1:3 კალენი (42), 2:3 ბუშე (43), 2:4 რახუნეკი (56), 2:5 ტიუტინი (59)

**ფინიქსი 5:4 კოლუმბუსი**
*1:1 3:3 0:0 0:0 (1:0 ბულიტები)*
0:1 კარტერი (2), 1:1 მორისი (3), 2:1 ნოლანი (22), 2:2 ნეში (26), 3:2 კომრი (29), 4:2 ჟოვანოვსკი (34), 4:3 ფიოდოროვი (38), 4:4 ვიბორნი (39)



ჩიკაგო — დეტროიტი. დომინიკ ჰაშეკმა სასწაულები აკეთა

**„ნიუ იორკ რეინჯერსი“** — „დალასის“ შეხვედრა მეტად იშვიათი მოვლენით აღინიშნა — ტყუპმა ძმებმა ითამაშეს ერთმანეთის წინააღმდეგ. აქამდე ნჰლ-ის ისტორიას მხოლოდ ორი ასეთი შემთხვევა ახსოვს ბოლოს ეს 1994 წელს მოხდა, როცა რიკ და რონ სატერები დაუპირისპირდნენ ერთურთს.

ხუთშაბათს სხვადასხვა მხარეს ჰენრიკ და ჯოელ ლუნდკვისტები აღმოჩნდნენ. პირველი „რეინჯერსის“ ძირითადი მეკარეა და ნჰლ-ში უკვე მყარადაც აქვს ფეხი მოკიდებული. აი, ჯოელს კი თავისი შესაძლებლობების დამტკიცება ჯერ კიდევ მოუწევს — „დალასის“ შემადგენლობაში ამჯერადაც მხოლოდ იმიტომ იყო, რომ გუნდის ლიდერი მაიკ მოდანო ტრავმირებულია.

გუშინ ჯოელმა დაინდო ტყუპისცალი და მისი კარისკენ ერთხელაც არ დაურტყამს, თუმც ჰენრიკს სამუშაო ისედაც თავზესაყრელი ჰქონდა, რომელსაც შვედმა გოლკიპერმა დიდებულად გაართვა თავი — „რეინჯერსმა“ დიდწილად მისი 43 „სეივის“ წყალობით დასცა ტეხასელები. შეტევაში კი „ნიუ იორკელებს“ მოულოდნელი წინამძღოლი გამოუჩნდათ ჩეხი მცველი კარელ რახუნეკის სახით. ამ ბიჭს ბოლოს გოლი 2003 წელს გაეტანა, მაგრამ გუშინ ერთბაშად დუბლი გაარხეხა და ჰენრიკ ლუნდკვისთან ერთად მატჩის გმირი გახდა.

„ჩიკაგომ“ დენი სავარის ხელში პირველად წააგო ძირითად დროში და, თავის გულშემატკივართა გულდასაწყვეტად, ეს მაინდამაინც მტრად მოკიდებულ „დეტროიტთან“ მოხდა. ამაში მთავარი დამნაშავე კი „წითელი ფრთების“ ვეტერანი კარის დარაჯი დომინიკ ჰაშეკი გახლდათ. 41 წლის ჩეხი გუშინ კარში ციბრუტივით ტრიალებდა, ყინულზე დგებოდა და მოწინააღმდეგეებს საოცარ კულბიტებში იგერიებდა, მოკლედ, კვლავ „დომინატორობდა“.

„როცა ჰაშეკი ასე თამაშობს, მასთან ვერაფერს გააწყობ. ჩემი ბიჭები ყველაფერს სწორად აკეთებდნენ და მეტოქე აშკარად დაჯაბნეს კიდეც, მაგრამ ჩეხმა დღეს გამარჯვება მოგვპარა“ — ხელებს ასავსავებდა ნამატჩევს სავარი.

კიდევ ერთი მეკარის გმირობის მოწმე მონრეალის „ბელ ცენტრში“ შეკრებილი მაყურებელი გახდა. მასპინძელთა ფრანგმა კარის დარაჯმა კრისტობალ იუემ ლამის ჭკუიდან გადაიყვანა „ტამპას“ თავდასხმელები. სტუმართა ლიდერ ვენსან ლეკავალიეს თქმისა არ იყოს, თამაში მთლიანად „მონრეალის“ ნახევარზე მიდიოდა, მაგრამ იუეს ფანტასტიკურმა თამაშმა და „კანადელების“ კაპიტან საკუ კოივუს წყვილმა გოლმა ფლორიდელების წვალება წყალს გაატანა.

ალარ ხუმრობს „კოლუმბუსი“, რომელიც ნელ-ნელა იმაღლებს ავტორიტეტს. „ცისფერმა ჟაკეტებმა“ ამჯერად ბულიტებში კი წააგეს, მაგრამ „ფინიქსში“ აღებული ერთი ქულა მაინც მათ სასარგებლოდ მეტყველებს. ოჰაიოელებს კვლავაც დამრიგებელ კენ ჰიჩკოკის დროულმა ჩარევამ უშველა — მწვრთნელმა ტაიმაუტი მეორე პერიოდში აიღო და თავისი ბიჭები კარგადაც შეახურა. შედეგად „კოლუმბუსმა“ ანგარიში ორიოდ წუთში გაათანაბრა და ერთი ქულა მაინც აიღო.

**კახა ლომაშვილი**



## ევროპის VII ჩემპიონატი
### ქალები. შვედეთი. 7-17 დეკემბერი

euro2006 HANDBALL SWEDEN

# შვედებმა მასპინძლობა დაასრულეს

## მეორე ჯგუფური ეტაპი

**პირველი ჯგუფი**

**ნორვეგია 34:31 უნგრეთი**
**გერმანია 23:20 მაკედონია**
**პოლონეთი 33:24 ავსტრია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 5 | 0 | 0 | 160:111 | 10 |
| გერმანია | 4 | 0 | 1 | 143:116 | 8 |
| უნგრეთი | 3 | 0 | 2 | 167:134 | 6 |
| პოლონეთი | 2 | 0 | 3 | 130:156 | 4 |
| ავსტრია | 1 | 0 | 4 | 121:173 | 2 |
| მაკედონია | 0 | 0 | 5 | 113:144 | 0 |

**მეორე ჯგუფი**

**საფრანგეთი 28:23 შვედეთი**
**რუსეთი 31:24 ესპანეთი**
**ხორვატია 26:22 დანია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 5 | 0 | 0 | 145:112 | 10 |
| საფრანგეთი | 3 | 0 | 2 | 122:117 | 6 |
| შვედეთი | 2 | 0 | 3 | 109:120 | 4 |
| ხორვატია | 2 | 0 | 3 | 117:120 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 0 | 4 | 124:133 | 4 |
| დანია | 1 | 0 | 4 | 118:133 | 2 |

**მეორე** ჯგუფური ეტაპის დასკვნით ტურში ორი „ცხელი“ მატჩი იყო მოსალოდნელი, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ ნორვეგიელი და ფრანგი დიაცები დიდი ძალისხმევის გარეშე გავიდნენ ნახევარფინალში.

კონტინენტის ექსჩემპიონი უნგრელები თანაბრად მხოლოდ პირველ ტაიმში გაუძალიანდნენ ამჟამინდელ ჩემპიონ ნორვეგიელებს — 16:17, შესვენების შემდეგ კი სკანდინაველმა ხელბურთელებმა მეტოქეს შვიდ წუთში ქქვსი უპასუხო გოლი გაუტანეს და მაშინ იყო, რომ მადიართა იმედიც ჩაქრა — 18:25. ამ პრინციპული მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს ნორვეგიელთა 26 წლის მეკარე კატრინ ლუნდე, რომელმაც 17 ტყორცნა მოიგერია, ხოლო ყველაზე შედეგიანი იყო რვა ბურთის გამტანი, ლუნდეს კბილა გრო ჰამერსენი — ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე.

ნორვეგიელებმა მსოფლიოს ჩემპიონ რუს ქალთა მსგავსად, ტურნირზე ექვსივე თამაში მოიგეს და დღეს ფრანგებთან ნახევარფინალურ შეხვედრაში ფავორიტებად ითვლებიან. სამყაროს ექსტრიუმფატორ ფრანგებსაც არ გასჭირვებიათ სამედლოდ ბრძოლის გაგრძელება, მასპინძელმა დიაცებმა მათ მხოლოდ ერთი ტაიმი გაუწიეს ხეირიანი წინააღმდეგობა — 13:13, მერე კი ამ მატჩშიც მალე გამოიკვეთა ფავორიტთა უპირატესობა, ათწუთიან მონაკვეთში 6:1 აჯობეს შვედებს და საპლეიოფო საქმე უპრობლემოდ მოაგვარეს.

ამრიგად, დღეს ნახევარფინალში ევროპის მოქმედი ჩემპიონი ნორვეგია და მსოფლიოს 2003 წლის ჩემპიონი საფრანგეთი შეხვდებიან, აგრეთვე მსოფლიოს ამჟამინდელი მეტიტულე რუსეთი და ბოლო ათწლეულში კონტინენტზე უმედლოდ „მოხეტიალე“ გერმანია.

ხვალ კი საჩემპიონო და სამესამედლო თამაშები შედგება. აღსანიშნავია, რომ ევროპის ჩემპიონი ტიტულთან ერთად 2008 წლის ოლიმპიადის საგზურსაც მოიპოვებს.

**გია ახალაძე**



# მსოფლიოს თასი

## კაცები. ვალგარდენა (იტალია)

**სუპერგიგანტი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ბოდე მილერი (აშშ) | 1 წთ. 32,35 წმ |
| 2 | კრისტოფ გრუბერი(ავსტრია) | 1.32,99 |
| 3 | ჯონ კუჩერა (კანადა) | 1.33,08 |
| 4 | დიდიე კუშე (შვეიცარია) | 1.33,13 |
| 5 | ჰერმან მაიერი (ავსტრია) | 1.33,15 |

**საერთო ჩათვლა**

| | | |
|---|---|---|
| 1 | აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 320 ქულა |
| 2 | დიდიე კუშე (შვეიცარია) | 254 |
| 3-4 | ბოდე მილერი (აშშ) | 242 |
| 3-4 | პეტერ ფილი (იტალია) | 242 |
| 5 | ჯონ კუჩერა (კანადა) | 206 |

## ქალები. რაიტერალმი (ავსტრია)

**სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება + 1 სლალომი)**

| | | |
|---|---|---|
| 1 | მარლიზ შილდი (ავსტრია) | 2 წთ. 13,69 წმ (1.23,24 + 50,45) |
| 2 | მიხაელა კირხგასერი (ავსტრია) | 2.14,03 (1.23,48 + 50,55) |
| 3 | კატრინ ზეტელი (ავსტრია) | 2.14,04 (1.22,63 + 51,41) |
| 4 | ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 2.15,00 (1.24,06 + 50,94) |
| 5 | სარკა ზაჰროვსკა (ჩეხეთი) | 2.15,31 (1.23,30 + 52,01) |

**საერთო ჩათვლა**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 341 ქულა |
| 2 | მარლიზ შილდი (ავსტრია) | 337 |
| 3 | ლინდსი კილდოუ (შვეიცარია) | 275 |
| 4 | კატრინ ზეტელი (ავსტრია) | 265 |
| 5 | რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 211 |


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge


სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00